ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

[esif,fsb7 * vfbcb7 @)!$ 1107 (6418) afcb5 #) stshb

7 მაისიდან!
ახალ თაობასთან“ ერთად
დიდი საოჯახო
სამედიცინო ენციკლოპედია
წიგნი 4
№ კფჰბ ლფ №) სტსჰბ

სოსო მანჯავიძე: 7 ნოემბერს აქციის დასარბევად ნაციონალებს სპეცტექნიკა ბიძინა ივანიშვილმა უყიდა“

გვ.3 რა ტვირთით მოუწევთ სიარული სოსო ჯაჭვლიანს და ზაზა პაპუაშვილს

რატომ მალავს პარლამენტის აპარატი გოკა გაბაშვილის და ნუგზარ წიკლაურის დიპლომებს

გვ.6

გვ.2 ირაკლი სესიაშვილი: მედიის მიყურადება დაუშვებელია“

გვ.7 დავით კეზერაშვილს ბრალი დაუმძიმდა

გვ.5 ნუკრი ქანთარია: საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაიშვება“

ეკლესიის ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა გვ.7

თურქეთთან და გვ.2 აზერბაიჯანთან სამხედრო თანამშრომლობა გაგრძელდება

გვ.4

ნაციონალები ნიკა მელიას რეიტინგის აწევას გიგი უგულავას დახმარებით ცდილობენ“

პერსონალურ მონაცემთა დაცვა: გვ.6 ახალი გამოწვევა

ISSN 1987-9385

7 აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი დააკავეს

4 ირაკლი ალასანია აშშ-ის სენატორებსა და კონგრესმენებს შეხვდა

2 საოკუპაციო ხაზთან კიდევ ერთი ქართველი დააკავეს

4 ანტინარკოტიკულ კამპანიაში პროფესიონალი კალათბურთელები ერთვებიან

ირაკლი სესიაშვილი: მედიის მიყურადება დაუშვებელია“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი საკითხი, რაზეც სესიაშვილმა ისაუბრა, ანტიდისკრიმინაციის შესახებ კანონი იყო. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზღვარი უნდა არსებობდეს და ამ საკითხებს კონკორდატი არეგულირებს.

ირაკლი სესიაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება. პატრიარქის განცხადებით, უკანონობის დაკანონება ცოდვაა.

დეპუტატი სესიაშვილი გუშინ პრესას „პირველ პრესკლუბში“ შეხვდა. ის, როგორც აღვნიშნეთ, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით პატრიარქის განცხადებას გამოეხმაურა. პარლამენტარი ამბობს, მომავალი გვიჩვენებს, რომ არანაირი საფრთხე არ ემუქრება ჩვენს საზოგადოებას აღნიშნული კანონის მიღებით.

– მისი უწმინდესობის პოზიცია ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ერთის მხრივ, მე ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ასევე ვარ მრევლი, ეს ჩემი პირადი აღმსარებლობის თავისუფლებაა და თავისთავად ცხადია ჩემთვის, მისი უწმინდესობის პოზიცია ასევე დამატებით ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ზღვარი უნდა არსებობდეს. ჩვენ, პოლიტიკოსებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე გარკვეული დამატებითი პასუხიმგებლობა გვაქვს. – განაცხადა სესიაშვილმა.

ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ვერ მიიღებს ყოველთვის ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მხოლოდ უმრავლესობისთვის იქნება მისაღები.

– ჩვენ გვიწევს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უმცირესობის მისაღებია და უმრავლესობისთვის – მიუღებელი, რამდენადაც ეს არის სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს არსი, რომ დავიცვათ მაქსიმალურად ბალანსი, ყველას უფლება განურჩევლად ყველა მახასიათებლისა. ეს დაფიქსირებულია კონსტიტუციაში. იმის მიუხედავად, რომ უდიდეს პატივს ვცემ მის უწმინდესობას, მის აზრს, მის პოზიციას, მიმაჩნია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ის, რომ მე პოლიტიკოსი ვარ, მაქვს ვალდებულება და უფლებაც, რომ გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მივიღო, ამ შემთხვევაში ეს საკითხი გადასაწყვეტი იყო. – აღნიშნავს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა განაცხადა, საკანონმდებლო ორგანო შეეცადა, ეკლესიის აზრი მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა.

– ვთვლით, რომ ჩვენი მაქსიმუმი გავაკეთეთ კიდეც. იმედი მაქვს, მომავალი გვაჩვენებს, რომ არანაირი ხიფათი არ არსებობს. ცხადია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, თავის შეხედულება აქვს. ეს ჩემთვისაც აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ სახელმწიფოს აქვს თავისი მახასიათებლები და პასუხისმგებლობა, მითუმეტეს, თუ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიასა და საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ბეწვის ხიდზე გავიარეთ, სადაც შევეცადეთ, რომ როგორც რელიგიური, ისე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები გაგვეთვალისწინებინა და შევძელით ის, რაც შევძელით. – განაცხადა სესიაშვილმა.

ის ასევე შეეხო „რუსთავი 2“-ის მიერ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას. სესიაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია აღნიშნული ფაქტის გამოძიება და სათანადო შეფასებების შემდეგ გაკეთება.

– არ მგონია, ჩემი შეფასება იყოს განსხვავებული იმ რეალობისგან, რაც ზოგადად არსებობს. ცხადია, რომ ფაქტი გამოძიებული უნდა იყოს. ჩვენ ყველა ერთად – ხელისუფლება, პარლამენტი, პოლიტიკოსები ვაცხადებთ, რომ მედიის კონტროლი, უკანონო მოსმენა ან მიყურადება დაუშვებელია. როცა საქმე ეხება მედიას, ჩვენი პასუხისმგებლობა, რომ საქმე დროულად იქნას გამოძიებული, გაცილებით მაღალია, ამიტომ იმედი მაქვს, რომ პროკურატურა ამ საქმეს ძალიან მალე გამოიძიებს და ვნახავთ, რეალურად რა იყო. – განაცხადა სესიაშვილმა.

პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები შეაფასა. სესიაშვილი აცხადებს, რომ რუსეთს სურს, რომ მასა და ნატოს შორის გარკვეული ბუფერული ზონა ჰქონდეს.

– შეიძლება ითქვას, რომ დღეს ევროპა რუსეთთან ომის ზღვარზეა. დღეს ჩვენ გაქვს ასიმეტრიული დაპირისპირება, სადაც ორივე მხარე გამოკვეთილია, თუმცა რუსეთი ამას არ აღიარებს, მაგრამ თუ ევროპაში სამართლებრივი გაგებით ორ ქვეყანას შორის ომი დაფიქსირდა, მეჩვენება, რომ დასავლეთს გარკვეული სახით ჩარევა მოუწევს – იქნება ეს სამხედრო დახმარება, თუ გარკვეული მიმართულებებით შესაძლებლობების გამტკიცება, ამის თქმა გამიჭირდება. მეჩვენება, რომ რუსეთი ომის ინსპირირებას ცდილობს იმისთვის, რომ პოლიტიკურად მიზნებს მიაღწიოს. რას ნიშნავს ეს – როგორც კი აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაცია იძაბება, სადაც სამთავრობო ძალებს ნაკლები უნარი გააჩნიათ, რომ ყველა მწვავე ვითარებას ერთდროულად გაუმკლავდნენ და ამ პროცესში სიტუაციის კონტროლი რუსეთის მხრიდან გაცილებით მარტივია, თუ რუსეთმა დაინახა, რომ უკრაინის ძალები ყველა კერის ჩაქრობას ახერხებენ, ცხადია, რომ რუსეთს იმის უნარი შესწევს, რომ გაამწვავოს და გაართულოს. – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მიიჩნევს, რომ რუსეთი მანიპულირებს და სტაბილურად მძიმე სურათს ქმნის, საჭიროების შემთხვევაში კი მას სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება შეუძლია.

– ჩემი აზრით, ეს ყველაფერი პოლიტიკური მიზნებისთვის კეთდება. რუსეთს მის სტრატეგიულ დოკუმენტებში არაპირდაპირ გამოხატული აქვს, რომ მას სურს, რომ რუსეთსა და ნატოს შორის გარკვეული ბუფერული ზონა ჰქონდეს და ამგვარი ზონა შესაძლებელია მისი მოქმედებით აღმოსავლეთ უკრაინაში იქნას მიღწეული მათთვის გარკვეული სტატუსის მინიჭებით, ეს ნიშნავს დაახლოებით იმავეს, რაც რუსეთის მიერ დე-ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე მოხდა. რეალურად რუსეთი აცხადებდა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორია და მისი შემადგენელი ნაწილია, თუმცა ჩვენ ვერც აფხაზეთსა და ვერც სამაჩაბლოს ვერ ვაკონტროლებდით, რამდენადაც იქ რუსეთის ჯარი იყო. სავარაუდოდ, ასეთი სცენარით წავა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში შეიქმნას გარკვეული ფედერალური ან ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც ბუფერის სახით იქნებიან რუსეთსა და დასავლეთს შორის. უკრაინის ცენტრალურ ხელისუფლებას ნაკლები ბერკეტები ექნება, რომ კონტროლი განახორციელოს. – განაცხადა სესიაშვილმა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის შეფასებით, თუ რუსეთი უკრაინას თუ დასავლეთს ამ მიმართულებით ვერ წაიყვანს, არ არის გამორიცხული, რომ რეალურად ომი გაჩაღდეს.

თურქეთთან და აზერბაიჯანთან სამხედრო თანამშრომლობა გაგრძელდება

ნათია ხურცილავა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გასულ კვირას ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდა. პატრიარქმა საქართველოს უძველესი ქრისტიანული ძეგლები მოინახულა. როგორც ცნობილია მე-7 საუკუნის ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია. პატრიარქმა თურქეთში დაპირება მიიღო, რომ ძეგლების რესტავრაცია დაიწყება და არ არის გამორიცხული, რომ მონასტრული ცხოვრებაც აღდგეს, სადაც ბერმონაზვნები იცხოვრებენ.

პატრიარქის თურქეთში ვიზიტს საქართველოში თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტი დაემთხვა. პრესისთვის გუშინ ცნობილი გახდა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და აბდულა გიულიმ ოშკისა და იშხნის გადარჩენაზეც ისაუბრეს.

ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა დაუდასტურა, რომ თურქეთის პრეზიდენტთან და აზერბაიჯანის პრეზიდენტთან საუბარი კულტურულ მემკვიდრეობასაც შეეხო.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განხილვას, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.

– იყო კულტურულ მემკვიდრეობაზე საუბარი, იყო მათ შორის საუბარი იშხანისა და ოშკის რესტავრაციაში ქართველი რესავრატორების ჩართვაზე. როდესაც პრეზიდენტი მარგველაშვილი გახლდათ ვიზიტით როგორც თურქეთში ასევე აზერბაიჯანში ამ საკითხებზე საუბარი იყო. როგორც მოგეხსენებათ აზერბაიჯანშიც არის დემარკაციის პრობლემები. ორივე პრეზიდენტმა გვითხრა, რომ მზად არიან ქართველი სპეციალისტები ჩართონ ამ მოლაპარაკებებში. სწორედ ქართველი სპეციალისტების თანამონაწილეობით მიიღონ გადაწყვეტილებები შემდგომი რესტავრაციების. პატრიარქიც გახლდათ ვიზიტით და პატრიარქთან გამართულ შეხვედრაზეც სწორედ აღნიშნული საკითხები დადგა დღის წესრიგში. – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

საქართველოს ელჩი თურქეთში ირაკლი კოპლატაძე აცხადებს, რომ კულტურულ მემკვიდრეობაზე საუბარი თურქეთში განხორციელებული ვიზიტებისასაც იყო განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი.

– მათ შორის იქნება კულტურული მემკვიდრეობის საკითხები. როგორც მოგეხსენებათ სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ ანკარაში გაიმართა მოლაპარაკებები კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ხელმძღვანელობასა და თურქეთის მუზეუმების ფონდს შორის. ცოტა ხნის წინ ასევე გაიმართა მნიშვნელოვანი ვიზიტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ილია მეორისა, რომელზეც ასევე იყო საუბარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და პატრიარქი სტუმრობდა იშხანსა და ოშკსაც. – განაცხადა ირაკლი კოპლატაძემ.

ირინა იმერლიშვილის განცხადებით, სამმხრივი სამიტის ფარგლებში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ არსებული ურთიერთობები უფრო მჭიდრო და ინტენსიური გახდება.

მისივე თქმით, თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიული ასევე დაინტერესებულია საქართველოში თურქი ინვესტორების შემოსვლით. „თბილი-

სის სამიტი 2014“-ის ფარგლებში, ასევე იყო საუბარი თავდაცვის სფეროში სამმხრივ, საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთს შორის თანამშრომლობაზე.

– სამხედრო თანამშრომლობა მიმდინარეობს როგორც თურქეთთან, ასევე აზერბაიჯანთან. ეს არის ორმხრივი ურთიერთობები და საუბარი იყო უკვე სამხედრო თანამშრომლობის სამმხრივ ურთიერთობაზე გადასვლაზე თავდაცვის სფეროში. თავდაცვის სამინისტროები ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ, ოღონდ ჯერჯერობით ეს თანამშრომლობა არის ორმხრივ ფორმატში. – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

საოკუპაციო ხაზთან კიდევ ერთი ქართველი დააკავეს

საჩხერის რაიონიდან საოკუპაციო ხაზთან კიდევ ერთი ქართველი დააკავეს. თვითმხილველების ინფორმაციით, 21 წლის მამაკაცი ოსმა სამხედრო მოსამსახურემ ჯონჯოლის კრეფის დროს ე.წ. საზღვრის გადაკვეთის გამო აიყვანა. დაკავებულის დედის ცნობით, ოჯახთან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იმყოფებოდა.

„გვითხრეს არაფერია საშიში. არც სცემენ და არც აშიმშილებენო. უბრალოდ, ცოტა დრო უნდაო“-განაცხადა დაკავებულის დედამ.

ცხინვალის იზოლატორში საქართველოს სამი მოქალაქეც იმყოფება. სოფლების – კორბოულისა და ბორისას მცხოვრებლები ე.წ. მესაზღვრეებმა მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი ტყეში ჯონჯოლს კრეფდნენ. თანხის მოთხოვნით, დაკავებულების ოჯახის წევრებს ამ დრომდე არავინ დაკავშირებია.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნო ღონისძიებების თანაბარი პირობებით გაშუქებას ითხოვს

კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, როცა მმართველი გუნდის სიუჟეტი სატელევიზიო ეთერში 40 წუთის განმავლობაში გადის და მთავარი ოპოზიციური ძალის – 17 წამის განმავლობაში, სამართლიან გარემოზე საუბარი წარმოუდგენელია. ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ გლდანის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის პაატა ჯიბლაძის წარდგენის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

ბურჯანაძის თქმით, მისი გუნდი სატელევიზიო გადაცემებს ადევნებდა თვალს, რათა გაეგოთ, როგორ შუქდებოდა მათი მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებები.

„არ მინდა დავასახელო ტელეკომპანია, მაგრამ გუშინ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში ჩვენი ღონისძიებიდან გავიდა მხოლოდ და მხოლოდ 17 წამიანი სიუჟეტი. რაც ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტური უმრავლესობა იმ ადამიანებისა, რომელიც ამ სიუჟეტს უყურებდა ვერანაირ აზრს ვერ გამოიტანდა ამისგან“ – აცხადებს ბურჯანაძე.

როგორც მან აღნიშნა, თუ მისი განცხადების შემდეგ მსგავსი რამ კვლავ მოხდება, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ჩაგვრისა და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენების მცდელობა კვლავ გრძელდება.

„ვითხოვთ, რომ ჩვენი ღონისძიებებიც გაშუქდეს ისე, როგორც სხვა შუქდება. მე ვუყურე „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ ღონისძიებას ქუთაისში, როდესაც პირდაპირ ეთერში მიდიოდა 40 წუთიანი სიუჟეტი თავისი კრიმანჭულით „ – აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

სოსო მანჯავიძე: 7 ნოემბერს აქციის დასარბევად ნაციონალებს სპეცტექნიკა ბიძინა ივანიშვილმა უყიდა“

რა ტვირთით მოუწევთ სიარული სოსო ჯაჭვლიანს და ზაზა პაპუაშვილს

თამარ ნინიძე

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე აცხადებს, რომ საქართველო ჩამოყალიბდა ქვეყნად, რომელშიც საზოგადოებას ბოლომდე არასოდეს ეძლევა პასუხი ნებისმიერ მოვლენასა და ფაქტზე, ახალი ხელისუფლება კი ზუსტად იმეორებს წინა ხელისუფლების მართვის მეთოდებს. ის კი, ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარს უჭერს, გონებრივი და სულიერი იმპოტენტია. „ახალი თაობა“ სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

– უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით არასამთავრობოები ხელისუფლებას პასუხს სთხოვენ, წინა ხელისუფლების დროს ეს იყო გავრცელებული. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

– უცნაური ამბები ხდება საქართველოში, იგივე არასამთავრობოები იღვწოდნენ იმისათვის, რომ განადგურებულიყო თვალთვალისა და უკანონო მიყურადების ფაქტები. ახლა დაუდასტურებლად, ერთი ფაქტიც არ არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ ასეთი მოსმენები ხდება, იგივე ხალხი გამოდის და ამბობს, რომ ეს ჩვენც გვეხება, გასაგებია, მეც დარწმუნებული ვარ, რომ მოსმენები არ შეწყვეტილა, პირიქით, ზუსტად იგივე პრაქტიკაა, მაგრამ არ დასტურდება, რომ მოსმენების ფაქტებით ხდება ბიზნესმენების დაყაჩაღება, რისთვის იყენებდნენ, კომპრომატებისთვის, ფულადი მომოქცევის კონტროლისთვის და სხვა მიზნებით. ახლა ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არის, „რუსთავი 2“-ის მიერ აგორებულ სკანდალს რომ შევეხოთ, გაუგონარი არგუმენტები აქვთ, შეგვიძლია კედელზე მივამაგროთ მოსასმენი ტექნიკა, დავუძახოთ ჟურნალისტებს და ვთქვათ, რომ ეს დაგვიმონტაჟეს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თავად „რუსთავი 2“-მა გააკეთა?

– ეს არის ტელევიზია, რომელიც არის პირდაპირი რუპორი ნაციონალური მოძრაობის და ტერორის ინსტრუმენტი, ის რომ არ დაიხურა, აპატიეს უზარმაზარი ვალები, ეს სიცრუის მანქანა აგრძელებს ქართველი ხალხის ფსიქიკის მოწამვლას, ეს არის დანაშაული „ქართული ოცნების. ბიუჯეტის ხარჯზე ქართველი ხალხის ფული აპატიეს ამ ორგანიზაციას, რომელმაც მძიმე როლი ითამაშა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ნიკა გვარამიამ თავი დაგვამახსოვრა ფილმით „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, ცინიკური ფიზიონომიის ეთერში გამოჩენით და ათი ათასობით ადამიანის ნერვების მოშლით, ახლა გამოდის და საჯაროდ აცხადებს, რომ თურმე მასაც ჰქონია წვლილი, რომ მოსმენები მიმდინარეობს და ახლა ის ებრძვის იგივე მოვლენას, ეს არის აბსურდი იმათთვის, ვისაც მეხსიერება დაკარგული აქვს. ამათ კი იმედი აქვთ, რომ ასეთი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობაა.

– ეს ფაქტი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა აღძრან სისხლის სამართლის საქმე?

– რა თქმა უნდა, არის ამისთვის საფუძველი, კონკრეტული ფაქტები იქნა წარმოდგენილი, მაგრამ აქეთა მხარეს ცნობილი პროვოკატორები არიან და არაფერი უნდა მოსასმენი ტექნიკის დამონტაჟებას. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მათი გაკეთებული არ იყოს და სხვისი გაკეთებული იყოს, შეიძლება ხელისუფლებისაც, თუმცა მას გაცილებით ეფექტური საშუალებები აქვს, შეიძლება იდგეს ახლოს მანქანა და პირდაპირ გადასცემდეს ვიბრაციას, იყოს ასევე აგენტურა. ოდეერები არსებობენ. ყველგან არიან, „რუსთავი 2“-ის კონტროლის ასეთი მეთოდებით რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ხელისუფლება, გაუგებარია.

– „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობა ასახელებს თარიღს ამ მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებისა, 2012 წლის ივნისს, როგორ უნდა დაარწმუნონ საზოგადოება, რომ მანამდე არ იყო ეს ტექნიკა იქ დამონტაჟებული?

– ვერ დავინახე „რუსთავი 2“-ს არც ერთი თანამშრომლისგან რომ აღშფოთებული ყოფილიყო იმით, რაც ხდებოდა წლების წინ საქართველოში. ცხრა წელი ქვეყანაში სახელმწიფო ტერორის პოლიტიკა მიმდინარეობდა. ეტყობა, მოსასმენ ტექნიკას ეწერა, რომ მაინცდამაინც 2012 წლის ივნისში იყო დამონტაჟებული, საქართველო ჩამოყალიბდა ქვეყნად, რომელშიც არაფერზე ბოლომდე არ არის გამოძიება მიყვანილი და საზოგადოებას ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ ეძლევა, ეს არის გაურკვევლობის, ბუნდოვანების, ხლართების და სამართლის არარსებობის ქვეყანა. ხალხი დატანჯულია, ეს არის უსამართლობის უდაბნო. გარკვეულობა სიკეთეა, გაურკვევლობა და სიბნელე ბოროტება. ახალი ხელისუფლებაც იღვწის ამ მიმართულებით. ჩამოვთვალოთ, რა ხდებოდა ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, სამხედრო გადატრიალება, პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობა, ვინ იყო ამის ინსპირატორი, გაირკვა რამე? ეს ხომ იყო სამხედრო გადატრიალება, შემდეგ აფხაზეთის ომი, ვინმემ პასუხი აგო, პოლიტიკური შეფასება გაკეთდა? არა, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიკარგა. ვინმემ პასუხი აგო? არა, კუპონებით მოსახლეობის გაძარცვა მოხდა, ხალხის გაღატაკება, ვინმემ აგო პასუხი? არა, ის ხალხი, ვინც ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო, დღეს ტელევიზიით მორალს კითხულობს. ისმის კითხვა – ვინ დააფინანსა ვარდების რევოლუცია?

– თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, ვინ დააფინანსა?

– უტყუარი ფაქტია, რომ სოროსის ფონდიდან გამოტანილი ფულით დაფინანსდა.

– თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

– დარწმუნებული ვარ, ეს ცნობილი ამბავია.

– მაგრამ ივანიშვილი ამბობს, რომ ვარდების რევოლუციის დროს ის და ბადრი პატარკაციშვილიც მონაწილეობდნენ დაფინანსებაში.

– დიახ, ეს იყო მოვლენა, რომელმაც გამოიწვია ქართული სახელმწიფოს განადგურება. შეიქმნა სუროგატული თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება, იმისთვის შეიქმნა რომ ჩვენი ჯარისკაცები იბრძოდნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც დასჭირდება რომელიმე ზესახელმწიფოს.

– საბჭოთა კავშირის დროსაც ასე იყვნენ გამოყენებული ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები.

– შეიქმნა პოლიტიკური ელიტა რომელიც იმდენად მორჩილია, რომ გარედან იმართება, რომ აგერ ახლა ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს ერთი კაცი არ აღმოჩნდა ამხელა პარლამენტში, რომ ამისთვის წინააღმდეგობა გაეწია. იმდენად ჰყავთ ყველა დამორჩილებული, საჯაროდ ვერავინ ბედავს ხმის ამოღებას.

– ერთ-ერთი მიზეზი ამ კანონის მიღების, რაზეც ევროპელები ამახვილებენ ყურადღებას, ის არის, რომ ქართველი ვაჟკაცები, რომლებიც საქართველოში კაცობენ, ევროპაში თავშესაფარი რომ მიიღონ, იტყუებიან, რომ არიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, მათ საქართველოში დევნიან და იძულებული არიან, ევროპას ჩაბარდნენ ლტოლვილებად.

– არ მჯერა ამ ვერსიის. ევროპელები ვერაფერს მოითხოვდნენ, რასაც აქედან დახვდებოდა წინააღმდეგობა. იდეოლოგიურ სფეროში ევროპელები ვინც ასეთ საქმეებში იღვწიან, გამოუცდელები არიან ჩვენს რესპუბლიკელებთან შედარებით. გაუგებარია, ვინ იყო ამის ინიციატორი, ჩვენები თუ ისინი. აქედან მიდის ინიციატივები. მიზეზიც ვერ მოიგონეს.

– სოსო ჯაჭვლიანი, ზაზა პაპუაშვილი, გოგი ქავთარაძე, მათ რატომ უნდა მიეცათ ხმა ამ კანონისთვის?

– იმიტომ, რომ მათ ასე უთხრეს, ეს მათი პასუხისმგებლობის საკითხია. ამ ტვირთით მათ უნდა იცხოვრონ.

– არის არჩევანი ევროპაში ყოფნა ან ბნელ რუსეთში. ასე არ არის?

– არა არავითარი ასეთი არჩევანი არ არის. ეს სისულელეა, ლგბტ პრაიდის ინტერესებს თუ არ განვახორციელებთ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რუსეთის ინტერესებს ვახორციელებთ? ეს მიბმულია ასოცირების ხელშეკრულებასთან? სისულელეა, ამას მიერთებული არიან ისეთი ქვეყნები როგორიც არის თურქეთი და ალჟირი, შარიათის კანონებით ისჯება ეს ლგბტ აქციები. ხორვატია, კვიპროსი, უნგრეთი და სხვა ქვეყნებიც ამ კანონებით არ ხელმძღვანელობენ. არის საქართველოს ხელისუფლებაში ჯგუფი რომელმაც გაზარდა თავისი არაპროპორციული გავლენა ხელისუფლებაში და მედია სივრცეში.

– ლგბტ-ს გულისხმობთ თუ რესპუბლიკელებს?

– ლგბტ-ს ვინაიდან მათ აქვთ ასეთი უნარი, რომ ერთმანეთი უნდა გაიტანონ. უმცირესობებს ეს ახასიათებთ რაც შეიძლება მეტად რომ წარმოადგინონ მათნაირები სახელისუფლებო ორგანოებში. ლობირებენ ერთმანეთს და საერთაშორისო მასშტაბები აქვს ამას. რომის პაპმა თქვა, რომ ყველაფერს გავაკეთებ რომ ლგბტ-ს ლობი ვატიკანში არ იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობისო. ხომ გესმით ეს რას ნიშნავს. ამ დროს ობამა აცხადებს რომ ლგბტ პრაიდის სიამაყის თვედ გამოცხადდა ივნისი.

– თუმცა პარიზში ლგბტ-ს წინააღმდეგ უზარმაზარი აქციები იმართებოდა.

– დიახ, მაგრამ ამავე დროს ლგბტ პირებიც გამოდიან და მართავენ აღლუმებს. ეს თემა ხელოვნურად არის შემოგდებული. ლგბტ პირებმა მოითხოვეს ქრისტიანობის აკრძალვა როგორც ჰომოფობიური რელიგიისა. ქრისტიანობის წინააღმდეგ მიდიოდა ბრძოლა საუკუნეების წინათაც. არა ლგბტ პირების მიერ, არამედ სხვა ჯგუფების მიერ, ეს შემუშავებული სტრატეგიები იყო. ქვეყანა მშიერი კვდება და ესენი ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებენ საიდან „შთაგონდნენ“ ასე, არ ვიცი.

– 1 მაისს სხვადასხვა ჯგუფებმა მანიფესტაციები გამართეს მოსკოვის ცენტრში და მათ შორის ლგბტ პირებმაც, და ისინი არ დაარბიეს, ამან გაკვირვება გამოიწვია სოციალურ ქსელებში. ამაზე რას იტყვით?

– იარონ წყნარად არავინ მათ ხელს არ ახლებს, მაგრამ აღლუმებს ნუ გამართავენ ქალაქების ცენტრებში. კოსტიუმირებული აქციები არ ჩაატარონ, არ მაინტერესებს არც ერთი ქვეყანა, ჩვენ ჩვენი პოზიციები გვაქვს მორალზე და ზნეობაზე, რაც ჩამოყალიბებულია საუკუნეების განმავლობაში. ქართველი ადამიანის იდეალი უნდა დავიცვათ. ვინც ამ კანონს მხარს უჭერს, გონებრივი და სულიერი იმპოტენტები არიან. ვინც ეს მოიფიქრა შეგნებული ბოროტების ჩამდენნი არიან.

– „რუსთავი 2“-მა ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა სამღვდელოებას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს თურმე პრივილეგირებული იყო, მას გადაეცემოდა ერთ ლარად სახელმწიფო ქონება, დადიოდნენ ძვირადღირებული ჯიპებით. ამაზე როგორია თქვენი აზრი?

– ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, მოწყვლადი არიან მისი მსახურები სხვადასხვა ნაკლოვანებების მიმართ, მაგალითად ვერცხლისმოყვარეობის ცოდვა არსებობს. როცა საეკლესიო პირი ქადაგებს ერთს და ცხოვრობს სხვაგვარად, ეს მძიმე შედეგებს იწვევს, მაგრამ ასეთი შემთხვევები ერთეულია, საბედნიეროდ. ეკლესიაში თავმოყრილია ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი. მთავარი გუშაგია ზნეობის და ტრადიციების. კულტურული განვითარების ავანგარდში არიან საეკლესიო პირები. კეთილ საქმეებს ემსახურებიან. კოაბიტაცია წინა და ახლანდელ ხელისუფლებათა შორის იმიტომ არის, რომ იზიარებენ ერთმანეთის გავლენებს. იმიტომ ვისმენთ წარმოუდგენელ სისულელეებს თუ დავსჯით დამნაშავეებს, ამას მსოფლიო ვერ გაიგებს და ვერ ჩავაბარებთ დემოკრატიის გაკვეთილებს. მთავარი ამოცანა ყოფილა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართლიანობა, ადამიანის უფლებები, ეროვნული ინტერესები. უსუფაშვილმა ჩააბაროს დემოკრატიის გაკვეთილი სოროსთან თურმე ეს უფრო მნიშვნელოვანია.

– ივანიშვილი იზიარებს რესპუბლიკელების ამ პათოსს?

– რა თქმა უნდა, ისინი მისი ფავორიტები არიან.

– 7 ნოემბრის დარბევის შესახებ გახსოვთ ალბათ ნაციონალებმა განაცხადეს, რომ დარბევის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად დაფინანსება მათ ივანიშვილისგან მიიღეს. დღეს ამაზე არავინ საუბრობს, თვით უმრავლესობაც, რომელიც მაშინ ოპოზიციაში იყო და ბევრი წიხლიც მიიღო სპეცრაზმელებისგან. თქვენი აზრით, რატომ არ იხსენებენ ამ ამბებს?

– წინააღმდეგობრივი გრძნობა მაქვს როცა ოპოზიციაზე მეკითხებით. მე ვიყავი ის ადამიანი, რომელიც ამბობს რომ ოპოზიცია იმისათვის შეიქმნა, რომ აკონტროლოს ქართველი ხალხი ხელისუფლებამ. დღეს უმრავლესობა, რომელიც ადრე ოპოზიცია იყო ადასტურებს იმას, რომ მართალი ვიყავი. 2008 წელს ამაზე უამრავი სტატია მაქვს გაზეთებში გამოქვეყნებული ამ თემაზე. ვინ იყო მაგალითად ეროვნულ ფორუმში კადრების მთავარი შემრჩევი, გელა ხვედელიძე, სად წავიდა ახლა, საკითხავია.

– ახლა წინასაარჩევნო რეჟიმშია ქვეყანა, იქნებ გამოყოთ ის დადებითი ან უარყოფითი მხარეები, რომელიც ახასიათებს ახლანდელ ხელისუფლებას და როგორ შეაფასებთ მის მმართველობას?

– დადებითია ის, რომ ტერორი შეწყდა, ეს კარგია, ბედნიერი ვარ რომ ამაში მეც მაქვს წვლილი, გამაღიზიანებელი რიტორიკა აღარ არის რუსეთის მიმართ. თუმცა ალასანიამ ისეთი რამ განაცხადა, ანტისარაკეტო სისტემების საქართველოში განლაგების შესახებ, რომ ამას ცივი წყალი გადაასხა.

– თქვენ წინააღმდეგი ხართ რომ საქართველო დაცული იყოს რუსეთის პირდაპირი აგრესიისგან?

– ეს დიდი აბსურდია, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე იქნას დაცული, როცა აგერ აქვე ცხინვალთან და აფხაზეთთან რუსული ბაზებია და გიუმრის ბაზაზეც არიან განლაგებული რუსული შენაერთები. საჰაერო სივრცე თუ დაცული იქნება აქ ისე ვერ შემოვლენ? არაფერს მოიტანს ეს განცხადებები, გარდა ჩვენ მიმართ აგრესიისა. ჩვენს დასაცავად კი არ არის ეს რაკეტსაწინააღმდეგო ფარები, არამედ რუსეთისგან დასავლეთის დასაცავად. ჩვენს ტერიტორიას იყენებენ.

– დავით კოდუას ცემის ფაქტზე მინდოდა მეკითხა, როგორ გგონიათ სამართლიანობის ძიების დროს თავად ხალხი გამოვა და ქუჩაში დაიწყებს ანგარიშის გასწორებას წინა ხელისუფლებასთან?

– რა თქმა უნდა, ხალხი თავად იძიებს შურს, კოდუებმა იმაზე მეტი გააკეთეს ვიდრე თურქებმა, სპარსელებმა და მონღოლებმა. ისინი მორჩილებას ითხოვდნენ ქართველებისგან. ქონება კოდუებმა წაართვეს უამრავ ადამიანს, ქონებასაც ისე არ ართმევდნენ დამპყრობლები, როგორც ნაცმოძრაობის წევრები. რომ გამდიდრებულიყვნენ სახელმწიფო აპარატს იყენებდნენ კოდუები და სხვა ბევრი მათგანი. ბინძური მეთოდებით მოქმედებდნენ. წილებში რომ ჩაუჯდა ახალი ხელისუფლება ძველს, იმიტომაც იცავს ნაცმოძრაობას.

– ინფორმაცია შევიტყვე, რომ ბევრ დიდ ბიზნესკომპანიებში ოდეერები ჩაუსვეს ბიზნესმენებს. როგორი იქნება თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით?

– ეკონომიკა ამით სრულად გაქვავდება, გაუგებრობა და უკმაყოფილება ბოლოს ხალხს ქუჩაში გამოიყვანს.

– ივანიშვილზე ამბობენ, რომ ის ცდილობს ქვეყანა ბოლომდე გააპარტახოს რომ მერე ჩააბაროს რუსეთს მთლიანად.

– ამ აზრს ვერ გავიზიარებ, მაგრამ ახალი ხელისუფლება რომ წინა ხელისუფლებისგან არ განსხვავდება ეს ფაქტია. არჩეულ-დანიშნული პირველი პირები გვყავს. ახალი მარიონეტული მმართველობა ჩამოყალიბდა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

სპორტის სასახლეში დღეს ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართება

თბილისში, სპორტის სასახლეში დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართება. ამის შესახებ გუშინ „ნაცმოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა. მისივე თქმით, შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამგებლებისა და მერობის კანდიდატებს დაასახელებენ. პარტია მხარდამჭერებს საკუთარ პროგრამასაც გააცნობს. „ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ უნდა ავამუშაოთ გაჩერებული ქვეყანა. ამ არჩევნებზე ჩვენ მოსახლეობას ნაცვლად უსაქმურობისა, უნიათობისა და უუნარობისა, საქმის კეთებას და პრობლემების მოგვარებას ვთავაზობთ“ – აცხადებს ვაშაძე.

ნიუსპრესი

ნაციონალები ნიკა მელიას რეიტინგის აწევას გიგი უგულავას დახმარებით ცდილობენ“

საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად პარტიებმა თავიანთი კანდიდატები წარმოადგინეს და აქტიური წინასაარჩევნო კამპანიაც დაიწყეს. კამპანიის დაწყება განსაკუთრებით შესამჩნევი მაისიდან გახდა. ყველა ძირითადი „მოთამაშე“ მედიაში აქტიურობით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელევიზიო და გარე რეკლამები. საარჩევნო კამპანია, ყველაზე ადრე, ნაციონალურმა მოძრაობამ დედაქალაქის სარეკლამო ბილბორდებით დაიწყო.

„ახალი თაობა“ წინასაარჩევნო ბატალიებთან დაკავშირებით პიარის საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელს გივი ხაჭაპურიძეს ესაუბრა:

ნონა ცაბაძე

— ბატონო გივი, როგორია თქვენი შეფასებები მერობის კანდიდატების თაობაზე, მათ სლოგანებზე? რა გზავნილებს აგზავნიან კანდიდატები საზოგადოებისაკენ?

— საკმაოდ საინტერესო იყო ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატის დასახელების წინმსწრები მოვლენები. მოგეხსენებათ, რომ, პრაიმერის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე, გიორგი ვაშაძემ კანდიდატურა მოხსნა და ასპარეზი ნიკა მელიას დაუთმო. რა პოლიტიკური ბატალიები იმალება ამის უკან, ეს სხვა საქმეა, მაგრამ აქ ერთი საინტერესო ნიუანსი გვხვდება.

— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?

— ნიუანსი, რომელიც ოცნების კანდიდატის ე.წ. „მინუსად“ ითვლებოდა — წარმოშობა და თბილისელობა. მართალია, „ქართული ოცნების“ კანდიდატი თბილისელი არ არის, მაგრამ რეიტინგით რომ პირველი იყო და არის, ამას ყველა კვლევა ადასტურებს. შესაბამისად, შემთხვევითი არაა, რომ „ქართული ოცნების“, წარმოშობით მეგრელ კანდიდატს, დავით ნარმანიას, ასევე მეგრული წარმოშობის „თბილისელი“ ნიკა მელია დაუპირისპირა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ეს ერთგვარი გათვლა, სავარაუდოდ, საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობითაა გამოწვეული, თუმცა სახელისუფლო კანდიდატის წისქვილზეც ასხამს წყალს. თუ საზოგადოებისთვის ნაკლებად მისაღებია არათბილისელი კანდიდატი, ამ შემთხვევაში მეგრელი დავით ნარმანია, მაგრამ თავადაც მეგრელ კანდიდატს სთავაზობ თბილისელებს, ეს ერთგვარი აღიარებაა, რომ ბრძოლა კუთხურ ჭრილში გადაგაქვს.

— თქვენ თვლით, რომ ნაციონალები კუთხურ დაპირისპირებაში ერთვებიან?

— კუთხური დაპირისპირების მცდელობა ყოფილი მმართველი გუნდისთვის უცხო არაა. ამის მაგალითი ახლო წარსულშიც არაერთი მოგვეპოვება. გავიხსენოთ, გოგა ონიანის სასამართლო პროცესის დროს სვანების მიიყვანა სასამართლოსთან მხარდაჭერის გამოსახატავად. ასევე, ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად სამეგრელოდან ხალხის მობილიზაცია და კიდევ არაერთი მსგავსი ფაქტი. შესაბამისად, ვთვლი, რომ ნიკა მელიას კანდიდატად დასახელება სწორედ ნარმანიას მეგრელობას უკავშირდება და არა „თბილისს თბილისელი მერი უნდა ჰყავდეს“ დევიზს.

თვალშისაცემია და ჩემთვის გაუგებარი ნაციონალური მოძრაობის სლოგანი, რომელიც თბილისის ქუჩებში გვხვდება. პარტიას ძირითადად სამი სახის ბილბორდი აქვს განთავსებული. კერძოდ, ნიკა მელიას ფოტო სლოგანით „ერთად ავამუშაოთ თბილისი“, ნიკა მელიას და გიგი უგულავას ფოტოები სლოგანით — „ერთად ავამუშაოთ საქართველო“, და მხოლოდ გიგი უგულავა ამავე სლოგანით.

— ეს რისი მანიშნებელია, რატომ არის უგულავა მელიასთან გაიგივებული?

— აშკარაა, რომ პარტია გიგი უგულავათი ცდილობს ნიკა მელიას რეიტინგის აწევას, მაგრამ რა შუაშია საქართველოს ამუშავება მაშინ, როდესაც ნიკა მელია თბილისის მერად იყრის კენჭს, ხოლო გიგი უგულავა — საკრებულოს თავმჯდომარეობას აპირებს, გაუგებარია. ამ ყველაფერში კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი გიგი უგულავა ეყოლება თუ არა სიის პირველ ნომრად. არ მინდა შეფასებები გავაკეთო, მაგრამ აღნიშნული პარტიის მხარდამჭერი ელექტორატი ისეთივე ელექტორატია, როგორიც ჰყავდა და ჰყავს ლეიბორისტულ პარტიას. შესაბამისად, ძნელად სავარაუდოა, რომ ნაციონალური მოძრაობის ელექტორატს ამ გაუგებარმა მესიჯებმა არჩევანი შეაცვლევინოს, თუმცა სლოგანი რომ დედაქალაქის მთავრობის არჩევნების არსს ეწინააღმდეგება, ფაქტია.

— რას ფიქრობთ „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატზე?

— საინტერესო კანდიდატი წარმოადგინა „ბურჯანაძე — ერთიანმა ოპოზიციამ“. დიმიტრი ლორთქიფანიძე, ვფიქრობ, ღირსეულ კონკურენციას გაუწევს ოპონენტებს. სავარაუდოდ მას არ გაუჭირდება მეორე ადგილის მოპოვება იმის გათვალისწინებითაც კი, რომ კამპანია სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო, ხოლო წინა არჩევნების დროს პრეზიდენტობის კანდიდატმა, ნინო ბურჯანაძემ ამომრჩეველთა 10% მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს რეიტინგი არ ეზომებოდა.

კოალიციის მხრიდან თბილისის მერობის კანდიდატის მაიდანზე წარდგენით, ვფიქრობ, ბურჯანაძე პრორუსული იმიჯის შეცვლას ცდილობს, რადგან დარწმუნდა, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რუსეთის მიმართ დადებითად იყო განწყობილი, სულ უფრო მცირდება.

— მათ სლოგანზე რას ფიქრობთ? რისი თქმა სურთ ამომრჩევლისთვის და რამდენად მომგებიანი სლოგანი აქვთ?

— „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ სლოგანი — „დროა, მოვაწესრიგოთ თბილისი“ ყველაზე ბოლოს წარედგინა ამომრჩეველს. შემთხვევითი არც ისაა, რომ იგი შინაარსობრივად ძალიან გავს „ქართული ოცნების“ სლოგანს — „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“. ბურჯანაძის მესიჯებში ისევ ფიგურირებს „სამართლიანობის აღდგენა“, „ნაციონალური მოძრაობის განადგურება“ და „ხელისუფლების უმოქმედობა“. ანუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაჟღერებული მესიჯები ახლაც ძალაშია, თუმცა, ისევე როგორც პრეზიდენტის რანგში ვერ შეძლებდა ბურჯანაძე ზემოხსენებული დაპირებების განხორციელებას (პრეზიდენტის დღევანდელი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე), მით უმეტეს, ქალაქის მერის, ან თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლის ამპლუაში ეს ყოველივე ნამდვილად წარმოუდგენელია.

ბურჯანაძეს აქვს ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც, ასე ვთქვათ, მის სავიზიტო ბარათად იქცა. ეს არის „ტირე“ (-) სახელწოდებაში. გავიხსენოთ მოქალაქეთა კავშირის შემდეგი პერიოდი, როდესაც ქალბატონმა ბურჯანაძემ ბრძოლა დამოუკიდებლად დაიწყო. 2003 წლის არჩევნებზე ის აწ გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას პარტიასთან, „გაერთიანებულ დემოკრატებთან“ ერთად წარდგა ამომრჩევლის წინაშე სახელწოდებით „ბურჯანაძე — დემოკრატები“. 2008 წლის ნოემბერში, ოპოზიციაში წასულმა ბურჯანაძემ დააარსა პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ და ამ სახელით მიიღო მონაწილეობა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ისევ ქმნის გაერთიანებას სახელწოდებით „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“. სამივე შემთხვევაში მის სახელწოდებაში „ტირე“ (-) ფიგურირებს.

— თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ამ „ტირე“-ს?

— ბუნებრივია, ეს პერსონის წინა პლანზე წამოწევას და მისი დომინანტ სიტუაციაში ჩაყენებას ემსახურება, რომ წამოყენებული კანდიდატურა, მთავარი მესიჯები და ა.შ. ბურჯანაძესთან ასოცირდებოდეს.

— რაც შეეხება სახელისუფლო პარტიას? რას ფიქრობთ მათ საარჩევნო კამპანიაზე?

— საინტერესო კამპანიას ვხედავ „ქართული ოცნების“ მხრიდან. მათი კამპანია წინა არჩევნებისგან განსხვავებით გაცილებით აქტიურია. ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების ისტორია გვამცნობს, რომ ყველა წინა არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობა არასდროს აღემატებოდა 50%-ს. 2010 წელს, როდესაც პირველად მოხდა თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა, ამომრჩეველთა 47% გამოცხადდა საარჩევნო ყუთებთან. ეს უკანასკნელი თვითმმართველობის არჩევნების ისტორიაში ყველაზე მაღალი აქტივობა იყო. შესაბამისად, ამ და ბევრმა სხვა გარემოებამ სახელისუფლებო ძალა აიძულა უფრო აქტიური კამპანია ეწარმოებინა. გარდა ამისა, სახელისუფლებო პარტიის გააქტიურება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლასაც უკავშირდება. ივანიშვილის პოლიტიკაში არსებობა, „ქართულ ოცნებას“ იმის საშუალებას აძლევდა, რომ არ ეწარმოებინა აქტიური საარჩევნო კამპანია, რადგან თავად ივანიშვილი სარგებლობდა დიდი ნდობით და მის მიმართ ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა ლოიალური იყო.

— თუმცა, მათი წინა საარჩევნო კამპანიის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილი კვლავ გამოჩნდა საზოგადოების წინაშე. ეს როგორ გაიგეთ?

— კანდიდატების წარდგენისას სპორტის სასახლეში გამოჩენილი ბიძინა ივანიშვილიც საარჩევნო კამპანიის ნაწილია. „ქართული ოცნება“ ხედავს და ეს სავარაუდოდ კვლევებიდან მიღებული შედეგებიდან გამომდინარეა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ყოყმანობს დაუჭიროს თუ არა მხარი მმართველ გუნდს, მიზეზად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას ასახელებს. აქედან გამომდინარე, ოცნებამ მიიღო გადაწყვეტილება მცირე დოზით, მაგრამ მაინც გამოეჩინა ივანიშვილი ამ არჩევნებში. ტელეკომპანია კავკასიის ეთერში, გადაცემაში „სპექტრი“ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთ-ერთი მკვლევარი ბატონი, ზურაბ ბიგვავა „ქართული ოცნების“ შიდა კვლევებზე საუბრობდა. მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ოცნებამ“ ამომრჩეველი დაკარგა, მაგრამ დროთა განმავლობაში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მათი დიდი ნაწილი კვლავ ლოიალობით განიმსჭვალა პარტიის მიმართ. სავარაუდოდ, ახლაც მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე და „ქართული ოცნება“ ცდილობს, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ფაქტორით იმედგაცრუებული ამომრჩეველი ისევ დაიბრუნოს.

— თქვენ სამივე პარტიის სლოგანი მიმოიხილეთ. ამათგან რომელი გამოიყურება ყველაზე მიმზიდველად ამომრჩევლისთვის?

— სამივე ძირითადი მოთამაშის სლოგანები ერთიანობაზე მიუთითებს. კარგია, რომ მოწინავე პოზიციაზეა „ხალხი“ და არა „ლაპარაკი“. თუმცა თვითმმართველობის არჩევნების კამპანიის საწყისშივე ოპოზიციის მხრიდან კეთდება ის, რასაც თავის დროზე ხელისუფლებას უთვლიდნენ ნაკლად.

— რას გულისხმობთ?

— ორივე ძლიერი ოპოზიციური ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“ თავის კანდიდატებს, პირველ შემთხვევაში გიგი უგულავასთან ერთად სთავაზობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში — ნინო ბურჯანაძე „უნიშნავს“. საინტერესოა „ქართული ოცნების“ ნაკლად მიჩნეული ქმედება, რატომ იქცა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალებისთვის პრიორიტეტად.

ანტინარკოტიკულ კამპანიაში პროფესიონალი კალათბურთელები ერთვებიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკულ კამპანიას კალათბურთელები შეუერთდნენ. გუშინ, კამპანიის ფარგლებში, კალათბურთის აკადემიის დარბაზში „ნბა“-ს ქართველი ვარსკვლავი ზაზა ფაჩულია, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა და საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მწვრთნელი კოტე ტუღუში 16 წლამდე საკალათბურთო ნაკრებს შეხვდნენ.

პროფესიონალმა კალათბურთელებმა ახალგაზრდებს მასტერკლასი მოუწყვეს. შეხვედრაზე სპორტსმენებმა ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობასა და ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარების საფრთხეებზე ისაუბრეს. კალათბურთელებმა მოუწოდეს ქართველ ახალგაზრდებს აქტიურად ჩაერთონ სპორტულ ღონისძიებებში და უარი თქვან ნარკოტიკების მიღებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანია 24 მარტს დაიწყო. მისი მიზანია ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და საზოგადოების ინფორმირება. კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმები მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდიან, თუ რა შედეგებს იწვევს ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება. საინფორმაციო რგოლები ტელე და რადიოეთერებში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელებში განთავსდა.

აღსანიშნავია, რომ 1 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა. ამ კანონის თანახმად, აიკრძალა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა ან უკანონოდ გატანა, შესაბამისად, მსგავსი ქმედება სისხლის სამართლის წესით ისჯება.

მედიანიუსი

ირაკლი ალასანია აშშ-ის სენატორებსა და კონგრესმენებს შეხვდა

აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სენატორებსა და კონგრესმენებს შეხვდა. ალასანიამ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლებს საქართველოს თავდაცვის სფეროში გატარებული რეფორმები გააცნო. აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წევრებთან, სენატორებთან ჯონ მაკკეინთან და ჯეიმს ინჰოფთან შეხვედრებზე მხარეებმა თავდაცვის სფეროში აშშ-საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ასევე, დაზვერვის კომიტეტის წარმომადგენელთან, კონგრესმენ მაიქლ როჯერსთან, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების კომიტეტების წევრებთან, კონგრესმენებთან მაიკ ტერნერთან და მაიკ მაკკოლთან.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს ნატოში გაწევრიანების, რეგიონული უსაფრთხოებისა და საქართველო-აშშ-ს არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა კონგრესმენებსა და სენატორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ალასანიას განცხადებით, ამერიკის კონგრესმენები და სენატორები მხარს უჭერენ საქართველოს, როგორც მის ევროატლანტიკურ სწრაფვას და გაწევრიანებას ნატო-ში, ასევე, ქვეყნისთვის თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლებას.

ნიუსპრესი

შსს-მ ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი და მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ირანის ორი მოქალაქე — 1968 წელს დაბადებული ალირეზა ა. და 1988 წელს დაბადებული რეზა ი. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, ერთ-ერთ ბანკში მოქალაქეს 3800 ლარი მოპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ბრალდებულებმა იმავე დღეს, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, ვალუტის გადამცვლელი ერთ-ერთი პუნქტიდან 500 აშშ დოლარი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ალირეზა ა. და რეზა ი. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ. მოპარული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

მედიანიუსი

არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ საარჩევნო პროგრამის და კანდიდატთა ნაწილის პრეზენტაცია გამართა

„თავისუფალი საქართველოსა“ და „ახალი მემარჯვენეების“ მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შექმნილმა საარჩევნო ბლოკმა „არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა და კანდიდატთა ნაწილი წარადგინა.

თბლისის მერობისთვის „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“ კახა კუკავა იბრძოლებს. „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ პროგრამა კი 4 ბლოკისგან შედგება — დასაქმება და ეკონომიკური განვითარება; ქალაქის განვითარება; თბილისის ბიუჯეტის სოციალური ხარჯები; გრძელვადიანი ვალდებულებები.

„ბლოკი-გრძელვადიანი ვალდებულებები ისეთ საკითხებს მოიცავს, რომლებიც თვითმმართველობის კომპეტენციაში უშუალოდ არ შედის, თუმცა „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ მათი გადაწყვეტისთვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან იბრძოლებს“ — ნათქვამია „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ განცხადებაში.

რაც შეეხება ბლოკის მერობის კანდიდატებს, ისინი „არასაპალრამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ წარადგინა: ქუთაისი — მაგდა გაბრიჩიძე; ზუგდიდი — ირაკლი ღურწკაია; თელავი — გიორგი მოსიაშვილი; რუსთავი — ალექსანდრე ბერიძე და ახალციხე — ნატალი სისვაძე.

ფიქრია ჩიხრაძემ, ასევე, თბილისის 12 ოლქის მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინა: დელისი — ლაშა ჩხარტიშვილი; კრწანისი — ერიმეა ბერიშვილი; ავლაბარი — როლანდ ბერიძე; ვაზისუბანი — რამაზ ცატავა; ვარკეთილი -დოდო ჭელიძე; ჩუღურეთი — დავით შვანგირაძე; დიდუბე — მანანა ნაჭყებია; დიღმის მასივი — გიორგი თავდგირიძე; ლოტკინი — ფრიდონ ჩიღუნაძე; ნაძალადევი — ნინო სირბილაძე; სანზონა — გელა კეტაშვილი; მუხიანი — ავთანდილ სულაქველიძე; გლდანის კენტები — ლევან კალანდაძე.

ნიუსპრესი

ნუკრი ქანთარია: საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაიშვება“

შორენა კოწოწაშვილი

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ, დეპუტატ ნუკრი ქანთარიასთან

— ბატონო ნუკრი, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას საკმაოდ დიდი ხმაური და პროტესტი მოჰყვა. რამდენად რეალურია თქვენი თვალთახედვით ის საფრთხე, რაზეც მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები საუბრობენ?

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამოქალაქო სექტორის გააქტიურება შეინიშნება და საზოგადოებრივი აზრი უფრო მძლავრად ისმის. ამასთან, ისმის კრიტიკული გამონათქვამებიც. ხალმა თავისუფლად დაიწყო თავისი აზრის გამოხატვა. იმ ხალხმაც კი, რომელსაც ალიკაპი ჰქონდა თავისით აკრული და ხმას არ იღებდა, იმათაც ხმა ამოიღეს და ვხედავთ, რომ თურმე ლაპარაკიც შეუძლიათ, თურმე აზროვენებენ და კრიტიკულადაც გამოდიან. დღეს ყველაფერზე თამამად ლაპარაკობენ. ეს იქიდან მოდის, რომ ხელისუფლებამ სივრცე გახსნა და სამოქალაქო საზოგადების ჩამოყალიბების სერიოზული ნიშნები გაჩნდა და ასეც უნდა იყოს. ინტერესია, აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ხელისუფლება ვალდებულია, ყველას მოუსმინოს, ერთ კაცსაც და ათსაც, თუმცა საბოლოოდ პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილება თვითონ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს და თანაც, მტკიცედ და არა ხელის კანკალით. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება, რადგან ყველაფერი ყველას მოსაწონი ვერ იქნება. ეს მონაპოვარი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. თუ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებების შედეგად ქვეყანას ზიანი მიადგა და რაღაც შედეგებში ეს უარყოფითად გამოჩნდება, ამისათვის არსებობს არჩევნები. სწორედ არჩევნებმა უნდა შეცვალოს ხელისუფლება და ის ხალხი უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, რომელიც მერე შეცდომებს არ დაუშვებს. შემდეგ არჩევნებზე ისინიც უნდა შეცვალონ. ეს არის მთელი ციკლი. ჩვენ ამ გზაზე ვართ. ეს გზა სწორად მიმაჩნია და არა ის, რაც ადრე იყო. რაც შეეხება უშუალოდ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, აქაც გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი: ერთი — ამ კანონში არაფერი არ არის, თქვენ არ აკეთებთ სადამსჯელო ჩანაწერებს, არ გინდათ ინსპექტორიზმი და ჯარიმები შემოიღოთო. მოკლედ, ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი თითქოს გაცილებით მკვეთრი უნდა ყოფილიყო. ეს იყო საზოგადოების ერთი ფენის მოსაზრება; მეორე იყო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ძირითადად ოთხ სიტყვას გვედავებოდა. ეს ოთხი სიტყვა იყო რაღაც მაგიურ სიტყვებამდე ასული. ეს არის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, რომელიც თავისთავად საკანონმდებლო სივრცეში ახლა არ გაჩენილა. ეს ტერმინები ქართულ კანონმდებლობაში 1997 წლიდან არსებობს, 2000 წელს მიღებულ კანონებშიც არის. ეს ტერმინები გაბნეულია შრომის კოდექსში, ჯანდაცვის კანონში, სისხლის სამართლის კანომდებლობაში. ახლა კი ამ კანონში ყველაფრის თავმოყრა უნდა მომხდარიყო. პირველ მუხლში იყო ჩამონათვალი, რომ დისკრიმინაცია და ჩაგვრა არ უნდა მოხდეს, ამის, ამის და მათ შორის ჩაწერილია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. ასეთი ადამიანები ბუნებაში არსებობენ და ოდითგანვე იყვნენ. ეს არის ბუნებრივი მომენტი და ბუნების საწინააღმდეგოდ რაღაც გადახრა, ჩემი აზრით, ანომალია, არანორმალური და არაჯანსაღია. ცუდია, მაგრამ ასეთი ადამიანები არიან. იმის გამო, რომ ისინი ასეთები არიან, მათი ჩაწიხვლა არ უნდა მოხდეს. ანტიდისკრიმინაციულ კანონში ეს წერია და მეტი არაფერი. შიში იმისა, რომ წახალისებას და პროპაგანდას ხომ არ გამოიწვევს ეს კანონი, რაც ამ სიტყვებს პროპაგანდა გაუკეთდა ამ დღეების განმავლობაში, არ ვიცი. თან ეს მოხდა სწორედ იმ მხრიდან, ვინც ამ ჩანაწერის მოწინააღმდეგე იყო. მეც ვამბობ, რომ დაუშვებელია ამ ადამიანების ჩაგვრა. ეს რომ მკაფიოდ ყოფილიყო განმარტებული, ერთი მუხლი მთლიანად ამოვიღეთ. ცალკეულ უწყებებს თავისი რეგულაციები აქვთ და ისინი დაარეგულირებენ ანტიდისკრიმინაციის კუთხით ვითარებას უწყების შიგნით. ასე რომ, ამით ეს შიში მთლიანად მოიხსნა. იყო კიდევ მე-5 მუხლი, რომელზეც განცხადებები კეთდებოდა. სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონკორდატი აქვს გაფორმებული და ეს კანონი არ ვრცელდება ისეთ რამეზე, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაფორმებულ შეთანხმებას დაარღვევს. აქაც არის შიშები ეკლესიის მსახურებისგან, ჩვენ ეკლესიებში რომ ვიქადაგებთ და ვიტყვით, რომ ეს ცოდვაა, ამის გამო სასჯელი უნდა გვქონდეს? არა, ვეუბნებოდით. როგორ არა, მაშინ ეკლესიის გარეთ რომ ვთქვათ, არც იმ შემთხვევაში, რადგან თქვენ ეკლესიის წარმომადგენლები ხართ და ეკლესიურად ეს ცოდვაა. ცოდვაა და ამას ვაღიარებთ, მაგრამ ცოდვილიც ხომ უნდა დაიცვა, თუ გინდა ასეთი ქვეყანა. ესეც შევიტანეთ. ამის გამო მოხდა სწორედ ეს მოსმენა. ერთი მხრივ, კარგი ფაქტი მოხდა, დაძაბული კვირა კი იყო, მაგრამ კარგია, რომ ერთმანეთის აზრები გავიზიარეთ. კანონში შევიტანეთ სასულიერო პირების პოზიცია, რომ ღვთისმსახურებას ხელი არ შეეშალოს და ისინი, რა თქმა უნდა, თავისუფალნი არიან. მე პირადად, კანონის მიღებამდეც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, არ დავუშვებთ, რომ მოხდეს პროპაგანდა გარყვნილებისა, ანომალიისა, არანორმალურობისა. არც პროპაგანდას დავუშვებთ და არც წახალისებას. მიმაჩნია, რომ ეს მოვლენა ცუდია.

— იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, როგორც გარედან ჩანს, მხოლოდ ზეწოლის შედეგად ჩასწორდა.

— არავითარი ზეწოლა. ხელისუფლებამ ნებისმიერ ზეწოლას უნდა გაუძლოს, თუკი მიაჩნია, რომ ეს ქვეყანას სჭირდება.

— საპატრიარქოს განცხადებები ზეწოლა იყო და იგივე სასულიერო პირების გამოსვლა?

— არა. ეს ნორმალურ მოვლენად მიმაჩნია. ჩვენ კრიტიკული მოსაზრებებიც უნდა მოვისმინოთ. ყველას აქვს თავისი აზრის საჯარო გამოხატვის უფლება და მით უმეტეს, ეკლესიას. ეკლესია ფხიზლად, ასე ვთქვათ, დარაჯად უნდა იყოს. მთელი მეოცე საუკუნის დასაწყისი რა იყო, ეკლესიების დარბევა, მღვდლების გაკრეჭვა და მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვედით ამ მდგომარეობიდან. დღეს ეკლესია ძლიერი ინსტიტუტია.

— ანუ ეკლესიის მხრიდან სახელმწიფო საქმეებში ჩარევის ნიშნები იყო?

— არა, ამას ჩარევას ვერ დავარქმევდი, მაგრამ მუქარები და მუშტების ქნევა იქიდან, არა მგონია, იმ კონკრეტული სასულიერო პირის ავტორიტეტს მაღლა ასწევს.

— როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდით, თუ გადახედეთ მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა სტატისტიკურ მონაცემებს? ასე დაჩაგრულები იყვნენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები, რომ საჭიროდ ჩათვალეთ მათ უფლებების დაცვის მაღალ ხარისხში აყვანა და მსგავსი ჩანაწერის გაკეთება ანტიდისკრიმინაციულ კანონში?

— ეს რომ ყოფილიყო ცალკე კანონი, რომ არ შეიძლება ანტიდისკრიმინაციული კანონი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მატარებლებზე, ამათ მიმართ რომ ყოფილიყო ცალკე კანონი, მაშინ გეთანხმები, რომ რა საჭირო იყო ცალკე კანონის მიღება, ვინ რას უშავებს მათ და ა.შ. მაგრამ ეს იყო კრებითი კანონი, სადაც მეც შევდივარ, თქვენც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებიც და საერთოდ, ყველა ადამიანი შედის, ვინც კი ამ ქვეყანაში ცხოვრობს და ყველას უფლებები უნდა იყოს თანაბრად დაცული. რადგან ასეთი ადამიანები ბუნებაში არსებობენ, ამიტომ მათი ადგილიც აღმოჩნდა ანტიდისკრიმინაციულ კანონში. ჩვენ ვერ დავიწყებთ იმის თქმას, რომ ამის უფლებებს დავიცავთ, იმისას — არა. რაზე იყო პრეტენზია, ეკლესიურად ეს ცოდვააო, ისე ჩამონათვალი ნორმას შეესაბამებაო. ეს ცოდვაა და ესენი ერთად რატომ არიანო. მესმის, ეს ჩემთვის არანორმალური მოვლენაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ მოხდება ამ ქვეყანაში ამის პროპაგანდა და წახალისება. მაგრამ რადგან ასეთი ადამიანებიც არსებობენ, ჩვენ იქ ვერ დავწერდით, მიუხედავად იმისა, რომ ესენიც ჩვენები არიან, არ უნდა ჩავწიხლოთ და არ უნდა დავჩაგროთ. ამას კანონი ვერ აიტანდა. ეს შიშები არის ჩემთვის უსაფუძვლო. თავიდან ჩვენც დავფიქრდით, მართლაც ხომ არ ვაკეთებთ რაიმეს ისეთს, რომელიც დაგვანგრევს, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ, თორემ ეს რომ ჩვენთან ეჭვების დონეზე განმტკიცებულიყო, მართლა არ არის ჩვენს შორის ის ხალხი, რომელიც პირდაპირ ხელს აწევდა.

— კითხვები გააჩინა იმან, რომ უმრავლესობამ ერთხმად მიიღო ასე სერიოზულად გაპროტესტებული კანონი და რატომ არ გამოიკვეთა უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობა...

— ჩვენ ერთი პოლიტიკური გუნდი ვართ. ერთნაირები არა ვართ, მაგრამ ერთ საქმეს ვაკეთებთ. ძალიან სერიოზული და მწვავე კამათის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს კანონი აუცილებლად მისაღებია. მერე ვთქვით, ერთი გუნდი ვართ და პასუხისმგებლობაც ერთად ავიღოთ ამ კანონზე. ამიტომ ხმა ყველამ მივცეთ ამ კანონს და არ გამოვაცხადოთ თავისუფალი დასწრება. თავისუფალი დასწრება რომ გამოგვეცხადებინა, ეს კანონი მაინც გავიდოდა იმიტომ, რომ 50 ხმა უნდოდა და თავისთავად მოხდებოდა დამტკიცება. ვილაც ხმას ალბათ არ მისცემდა და მაშინ რა გამოვიდოდა, ვინც ხმა მისცა, ცუდია და ვინც არა, კარგია?!

— თუმცა, გუნდის შიგნით მაინც იყო განსხვავებული პოზიციები...

— ჩვენ ერთმანეთის ნდობაც გვაქვს და პასუხისმგებლობაც ქვეყნის წინაშე. მიგვაჩნია, რომ მსგავსი დოკუმენტი უნდა შექმნილიყო, თუ გვინდა ევროპულ წესრიგში მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რომ ეს კანონი, რომელიც გულისხმობს — არა ძალადობას, არა ჩაგვრას — და თავმოყრილია სხვადასხვა კანონებში გაბნეული და ერთად თავმოყრილი ნორმები, თუ ამას ამოვიღებთ კარგი ბიჭები და გოგოები ვართ, თუ არა და ცუდები. მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ სხვა კანონებში არსებობს იგივე ეს ოთხი სიტყვა, რაზეც ეკლესიის წარმომადგენლები გვედავებოდნენ?! მაშინ ვთქვათ, რომ ეს არის დანაშაული და ყველა ასეთი ადამიანი ციხეში უნდა იყოს, უნდა დავხვრიტოთ. რა გამოვა მაშინ, საით მივდივართ?!

— გასაგებია, მაგრამ ამ ადამიანების დახვრეტას არავინ ითხოვს...

— გასაგებია, რომ მათ დახვრეტას არავინ ითხოვს. ვამბობთ, ეს ცუდია, ანომალიაა და ნორმალური მდგომარეობიდან გადახრაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დაჩაგრულები უნდა იყვნენ. მე ჯერჯერობით იქამდე ვერ ავდივარ, გიყვარდეს მტერი შენი... არც იმ ლიბერალურ მწვერვალებზე ვარ — რა მოხდა, მერე... არა. მე მაქვს ამაზე ჩემი მკაფიო პოზიცია, რომელიც გენიდან და წინაპრებიდან მომდინარეობს, მაგრამ მათ დაჩაგვრას და მათ უმიზეზოდ ჩაწიხვლას, დამცირებას, ხელისუფლება არ დაუშვებს. თუ ხელისუფლება ხარ და გინდა ქვეყანა განვითარდეს, ეს არ უნდა დაუშვა. ეს არის და ეს. ეს რომ იყოს წამახალისებელი და რაღაც დამოკიდებულების გამომხატველი, მაშინ პროტესტი გასაგებია. ვიმეორებ, მსგავსი აქ არაფერია.

— ასოცირების ხელშეკრულება ითხოვს კანონში ასე მკაფიოდ ამ ჩანაწერის გაკეთებას?

— ითხოვს თუ არა, ეს კიდევ ცალკე თემაა. იქ არის საერთო ევროპული ჩანაწერი. ზოგ ქვეყანას აქვს კანონში მსგავსი ჩამონათვალი, ზოგს არა. ჩვენ ვთვლით, რომ ამ საერთო წესრიგში ეს დოკუმენტი საჭიროა და ამიტომ მივიღეთ. ახლა იმის თქმა, რომ თუ ეგენი გვთხოვენ, ჩვენ ასეთი ევროპა არ გვინდა, რა, ევროპა მარტო ეს არის?! რისთვისაც გვინდა ევროპაში და ევროპულ პროცესებში მივიღოთ მონაწილეობა, ეს აბსოლუტურად სხვა თემაა. ჩვენ გვინდა, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული, რომ სასამართლო იყოს სამართლიანი, რომ ქვეყანა ეკონომიკურად წელში გაიმართოს და ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ. არის ქვეყნები — ესპანეთი, საფრანგეთი და ჰოლანდია, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებები და ბავშვის აყვანა დაშვებულია. კლიპებიც მაქვს ნანახი. პირველ კლასელებს მასწავლებელი ეკითხება, აბა, ბავშვებო, ვის ჰყავს ორი მამა? — გამოდით. გამოდის ბავშვი და ტაშს უკრავენ. ვის ჰყავს ორი დედა?.. მსგავსი აქ არ მოხდება და ამას ვერავითარი ჰუმანურობით ვერ ავხსნით. წარმოუდგენელია, რომ აქ ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება მოხდეს და ეს არც მოხდება. ამის შიში აქვთ ზოგს, რომ ეს კანონი ხომ არ არის ამის დასაწყისი, რომ მერე ერთსქესიანთა ქორწინებაც იყოს აქ დაშვებული. არა. ეს არ მოხდება. ამაში ჩვენ ერთმანეთს უნდა ვენდოთ. როგორ იქნება ეს კანონი ამის დასაწყისი, როცა კანონი გეუბნება, არ დაჩაგროო. თუ ოდესმე ასეთი საკითხი ბუნებაში დადგება, მაშინ ყველამ ერთი ამბავი უნდა ავტეხოთ და ეს არ დავუშვათ. მეც ვიძახი, საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვებელია. ანტიდისკრიმინაციული კანონი არის საერთოდ ჩაგვრის წინააღმდეგ.

— თქვენც თქვით, ევროპულ გზაზე სასამართლო უნდა იყოს ევროპული სტანდარტისო. თუმცა, ფაქტია, ამ მხრივ სასიკეთო ჯერ არაფერია. რაღა მაინცდამაინც გენდერული იდენტობის კუთხით დაიწყო ხელისუფლებამ აქტიურობა და არა სასამართლო სისტემის გაჯანსაღების?

— ეს ერთმანეთს არ გამორიცხავს, რომ მთლიანობაშია ყველაფერი განსახილველი. ისე არ არის, რომ პორცია-პორცია მივყვეთ. სადაც ხელი მიგვიწვდება, ვცდილობთ, მაქსიმალურად იყოს პროცესი ღია და გამჭვირვალე. რა მემკვიდრეობა იყო, ყველამ ვიცით. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აქ იყო ორი გზა: ან უნდა ყოფილიყო რადიკალური ოპერაციები გაკეთებული და ეს უნდა ყოფილიყო პირდაპირ გაჭრა ყველაფრისა, წმენდა, რეპრესიები, ყველას გამოყრა; ანდა უნდა ამ გზით წავსულიყავით, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, რომელიც მეტნაკლებად მშვიდობიანია და ურთულესი. ჩვენ ეს რთული გზა ავირჩიეთ.

— თანაც ასეთ, პოლიტიკურად წამგებიან ეტაპზე, როცა წინ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ეს კანონი ალბათ მმართველ გუნდს ხმებს სერიოზულად დააკარგვინებს.

— ჩვენ დასკვნები გამოვიტანეთ, რომ უფრო მეტი განმარტებები იყო საჭირო და უფრო ადრე უნდა გამოგვეტანა განსახილველად. ეს არ უნდა გამოგვეტანა არჩევნებისკენ. თუმცა, აქედან ჩანს, რომ ჩვენ არ ვეშმაკობთ, არ ვთვალთმაქცობთ და რაც ვართ, ეს ვართ. რაც გასაკეთებელია, ვაკეთებთ, გინდა არჩევნების წინ იყოს და გინდა მერე. ჩვენ არა ვართ ფარისევლები. ვფიქრობ, მეტი განმარტებები უნდა ყოფილიყო ამ კანონზე. რაც შეეხება იმას, რომ ეს არჩევნებს ხელს შეუშლის და შედეგებზე იმოქმედებს, არა მგონია. აგერ არის არჩევნები და ვნახოთ. ის პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა გულში მჯიღს იცემენ და ამბობენ, ეს რა გააკეთეს ამათ, ერთი წამით წარმოვიდგინოთ, ხმაც კი მესმის მაგათი, როგორ დაიცავდნენ ამ კანონს, ისინი პარლამენტში რომ ყოფილიყვნენ. ოპოზიციამ ჩათვალა, რომ ეს კანონი მათთვის „საჩუქარია“ წინასაარჩევნოდ და მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. აქ არის ახლა მთავარი, რამდენად მაღალი კულტურა გვაქვს, შორსმჭვრეტელობა და გაგება იმისა, რომ ამ ოპოზიციონერების ასეთი ძახილი, დროებითია. ეს ტერმინები კანონში ზოგი ბურჯანაძის დროს იქნა შეტანილი. ზოგი პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციონერი მაშინ პარლამენტში იყო, როცა ეს კანონები იქნა მიღებული და დღეს იძახიან, მაშინ ბანდიტები ისხდნენ პარლამენტშიო. ერთ-ერთი ყოფილი დეპუტატი ამბობდა. ამოგეღო მერე ხმა, მაშინ ხომ ამოიღე და კარგადაც ამოიღე, როცა სააკაშვილი მივიდა პარლამენტში?! მაგრამ მაშინ ეს კანონი ან გამოგეპარა, ანდა მაშინ ეს თემა მომგებიანად არ ჩათვალე. ახლა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები თვლიან, რომ ეს თემა მათთვის პოლიტიკურად მომგებიანია და ამიტომ აკეთებენ მკვეთრ განცხადებებს. ეს მარტივად ჩანს. ამომრჩეველი მარტივად ხედავს, რაც ხდება. საზოგადოებას ახსოვს ყველას ნაბიჯები. არა მგონია, ჩვენ ამან ამ არჩევნებზე დაგვაზარალოს.

— და მაინც, რატომ მიიღეთ კანონი, რომელსაც საპატრიარქო მხარს არ უჭერდა?

— პარლამენტმა მაქსიმალური გათვალისწინებით მიიღო კანონის სწორედ ისეთი ვარიანტი, სადაც შევიდა ისეთი შენიშვნები, რომელიც აი, ამ აზრთა სხვადასხვაობის და ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს წარმოიშვა. კანონის მიღება ერთი დღით გადაიდო, კიდევ მოხდა შეხვედრა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, მაქსიმალურად იქნა ეს გაკეთებული ამ ეტაპისთვის. ისევ ვამბობ, ყველაფერი ვერ გაკეთდება. პასუხისმგებლობა აქვს ხელისუფლებას.

— ანტიდისკრიმინაციული კანონი მიღებულია და გენდერული იდენტობის დაცვის ფარგლებში, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა რომ მოინდომონ აქციების ჩატარება, პროვოკაციებზე წასვლა და ა.შ., მზად ხართ ამის გასამკლავებლად ისე, რომ ადამიანის უფლებების შელახვად არ ჩაგეთვალოთ?

— ეს კანონით დაისჯება. ყველაფერი მსგავსი კანონით დასჯადი იქნება, რაც პროვოკაციებს და გამომწვევ ქმედებას ეხება.

— კი მაგრამ, ისინი იტყვიან, ჩვენ თქვენ მიერ მიღებული კანონი გვიცავსო.

— ჩვენ იქ ჩავწერეთ, თუ სხვას დაჩაგრავ შენი გამომზეურებით და დაარღვევ საზოგადოებრივი ზნეობის ცნებებს და საზოგადოებრივი ზნეობისთვის შეუფერებელ საქციელს ჩაიდენ, ამ შემთხვევაში კანონი დაგსჯის. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შენ ახლა სხვის მიმართ ხარ უკვე უფლების შემლახველი და პროპაგანდას უწევ უზნეობას.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

ნარჩუნება და უააურთხოლ, დიეტების, ვარჯიშებისა და ბარძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვში ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დიდხანს სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეიძლება ასაკის შეუფერხლად. შედეგები 100%-იანია. ძ-60 ძეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რატომ მალავს პარლამენტის აპარატი გოკა გაბაშვილის და ნუგზარ წიკლაურის დიპლომებს

შორენა მარსაგიშვილი



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ჩვენი კანონმდებლების უმაღლესი განათლებით დაინტერესდა. ინსტიტუტმა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს

პარლამენტის წევრთა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების მიღების მოთხოვნით მიმართა.

პარლამენტის აპარატმა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თხოვნა დროულად დაკმაყოფილა. თუმცა მათ მიერ მოპოვებულ მასალებში „დანაკლისი“ აღმოჩნდა.

პარლამენტის აპარატს მიერ მოწოდებულ მასალებში 5 დეპუტატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები არ მოიპოვება. ესენი არიან გოკა გაბაშვილი, ლევან ქარდავა, რევაზ შავლოხაშვილი, გოგი ქავთარაძე და ნუგზარ წიკლაური.

ხუთეულის ფანებო, არ ინერვიულოთ, თქვენი რჩეულების დიპლომებს მიაკვლიეს.

ამ 5 დეპუტატის უმაღლესი განათლების შესახებ მონაცემები პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოიპოვეს.

მცირედი სხვაობა დაფიქსირდა პარლამენტის აპარატისგან მიღებულ დოკუმენტაციასა და პარლამენტის ვებ-გვერდზე დეპუტატთა უმაღლესი განათლების შესახებ განთავსებულ მონაცემებს შორის. პარლამენტის აპარატის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ორგანოს წევრთა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით შემდეგი სურათი იკვეთება: საქართველოს პარლამენტის 150 წევრიდან 19 ფლობს ერთდროულად ორ, 5 კი სამ სპეციალობას.

ყველაზე დიდი რაოდენობით პარლამენტში სამართალმცოდნეობის სპეციალისტები არიან წარმოდგენილნი. 49 დეპუტატი ფლობს იურისტის დიპლომს, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარე. 26 დეპუტატი ეკონომისტია, 14 – ექიმი. 19 კანონმდებელს განათლება ინჟინერიის მიმართულებით აქვს მიღებული, 13-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 6 დეპუტატი კი აგრონომიისა და სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალისტია. საქართველოს პარლამენტში 7 ისტორიკოსი, 2 ფილოსოფოსი და 12 ფილოლოგია წარმოდგენილი (მათ შორის 6 ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, სამ-სამი კი გერმანული და ინგლისური ენა-ლიტერატურის).

არსებული მონაცემებით, საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი არიან 2 პოლიტიკის მეცნიერების, 3 სახელმწიფო მმართველობის, 2 საერთაშორისო ურთიერთობების და 1 მშვიდობისა და უსაფრთხოების კვლევის სპეციალისტი. სამი დეპუტატი ფლობს ჟურნალისტის დიპლომს. ასევე, სამს აქვს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტის კვალიფიკაცია, ერთს სამხედრო-პოლიტიკური, ერთი დეპუტატი კი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების განათლებითაა. პარლამენტში თეატრალური და სახვითი ხელოვნებების დარგების სპეციალისტებსაც შეეხვდებით, რომელთა რაოდენობა ათს აღწევს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ცნობით, ზემოხსენებული სპეციალობების გარდა, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი არის განათლების სხვა დარგებიც, მაგალითად: აღმოსავლეთმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ღვთისმეტყველება, არქიტექტურა.

ინსტიტუტმა პარლამენტის წევრების განათლების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია დეპუტატთა პარტიული კუთვნილების მიხედვითაც დაახარისხა და პროცენტულ მაჩვენებლებში ასახა, რომელიც ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებშია მოცემული. ასევე ცალკე იქნა დაჯგუფებული უპარტიო, დამოუკიდებელ მაჟორიტართა და ფრაქციის გარეშე დეპუტატთა მონაცემები.

პარლამენტში კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატთა 29 %-ს იურისტები წარმოადგენენ. „ერთიანნ ნაციონალურ მოძრაობა“ საპარლამენტო უმრავლესობასთან შედარებით საკანონმდებლო ორგანოში 1 %-ით ნაკლები სამართალმცოდნე ჰყავს წარმოდგენილი. თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი ორივე პოლიტიკური ჯგუფიდან კონონმიკური განათლების მქონე დეპუტატები („ერთიანნ ნაციონალური მოძრაობა“ – 12 %, „ქართული ოცნება“ – 13 %). მსგავსი მდგომარეობაა მედიცინის დარგშიც – მხარეებს შორის სხვაობა მხოლოდ 1 %-ა. საბუნებისმეტყველო საგნების სპეციალისტებს შორის განსხვავება კიასეთია: „ერთიანნ ნაციონალური მოძრაობა“ – 9%, „ქართული ოცნება“ – 6%.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს კვლევაში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წევრთა უმაღლესი განათლების შესახებ მონაცემები გენდერულ ჭრილშიც იქნა განხილული. კვლევამ აჩვენა, რომ პარლამენტში წარმოდგენილი სულ 17 ქალი დეპუტატიდან 10 სამართალმცოდნეა, 4 სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების სპეციალისტი, სამს ჰუმანიტარული განხრით აქვს განათლება მიღებული, ორს კი საბუნებისმეტყველო საგნებში. საქართველოს ამჟამინდელ პარლამენტში წარმოდგენილი არიან ექიმი, ეკონომისტი, აღმოსავლეთმცოდნე, აგრონომი და ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი ქალი დეპუტატატები.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტში სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებების სპეციალობებით ქალბატონების პროცენტული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება იგივე სპეციალობების მამაკაცთა პროცენტულ მაჩვენებელს. საპირისპირო მდგომარეობაა ეკონომიკური და ინჟინერიის მიმართულების სპეციალისტების შემთხვევაში, ხოლო უმაღლესი განათლების სხვა მიმართულებებში მამაკაც და ქალ პარლამენტის წევრთა პროცენტული მაჩვენებლები ერომანეთისგან მკვეთრად არ განსხვავდება.

რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოს წევრთა აკადემიურ ხარისხებს, პარლამენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით მაგისტრზე მაღალ ხარისხს ფლობს სულ 25 დეპუტატი. ამათგან 17 მეცნიერებათა კანდიდატია, 8 – დოქტორი, 5 – პროფესორი, 1– აკადემიკოსი, 1 მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრ-კორესპოდენტი, ასევე ერთი საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.

დეპუტატთა უმრავლესობას განათლება მიღებული აქვთ საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო სასწავლებელში. მხოლოდ ხუთ დეპუტატს აქვს განათლება მიღებული საზღვარგარეთ (იგულისხმება სწავლების სრული კურსის გაკლა, რომელიც დასტურდება აკადემიური ხარისხის დიპლომის მინიჭებით და არა მოკლეხნიანი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები). ამასთან,საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ „ქართული ოცნების“ პარტიული სიით არჩეული დეპუტატი ალექსანდრე თამაზაშვილი 2002 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამჟამად რეგისტრირებულია როგორც 2013-2014 სასწავლო წლის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოში სამართალმცოდნეობის სპეციალობის დეპუტატები ჭარბობენ, რაც პოზიტიურად უნდა აისახებოდეს დეპუტატთა საკანონმდებლო საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ განათლების მიმართულებების მიხედვით, პროპორციული გათვლით, საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მკვეთრად გამოხატული განსხვავება არ ფიქსირდება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა: ახალი გამოწვევა

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო დროს საკმაოდ სერიოზულ პრობლემად იქცა პერსონალურ მონაცემთა დაცვა. ეს პრობლემა საქართველოშიც მწვავედ დგას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საპრესლის სპეციალისტი, იურისტი კახაბერ გოშაძე ფიქრობს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა ახალი გამოწვევაა.

– რა არის პერსონალურ მონაცემთა დაცვა?

– ზოგადად, უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არის ადამიანის უფლება, იცოდეს, თუ რისთვის და ვის მიერ გამოიყენება მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები. შინაარსობრივად, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ნიშნავს არა მათ დაცვას დამუშავებისგან, არამედ დაცვას უკანონო, კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით დამუშავებისგან. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ამ პროცესებთან დაკავშირებული ურთიერთობები სამართლებრივი მოწესრიგების საგანს წარმოადგენს, თუმცა, მიმაჩნია, რომ რამდენადაც მონაცემთა დამუშავება ყოველდღიურად ხორციელდება და ძალზე ხშირია, მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მცირედი ცოდნა მაინც აუცილებელია თითოეული მოქალაქისათვის.

– რატომ არის საჭირო პერსონალურ მონაცემთა დაცვა?

– ვფიქრობ, არ არის რთული წარმოსადგენი, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია პერსონალურ მონაცემთა არასათანადო დაცვას, მაგალითები ამის დასადასტურებლად საკმაოდ მრავალია, ხოლო რამდენიმეს მოშველიება საკმარისია საერთო სურათის შესაქმნელად. მაგალითად, დაუცველი ინტერნეტქსელის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შესაძლოა გახდეს ჰაკერული შეტევის ობიექტი და დაირღვევს პირთა უფლებები, ასევე, დაწესებულებებში, პერსონალურ მონაცემთა შემცველი დოკუმენტების ღია ადგილას განთავსება, საკმაოდ დიდი ალბათობით, იძლევა მისი გაცნობის საშუალებას არაუფლებამოსილი პირების მიერ, რაც პირდაპირ არღვევს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებულ მონაცემთა კონფიდენციალურობის პირობას.

ჩემი აზრით, ჩვენ, საკუთარ პერსონალურ მონაცემებს სათანადოდ არ ვაქცევთ ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ განვითარებულ სახელმწიფოში პერსონალური მონაცემები სცდება მხოლოდ პირის შესახებ ინფორმაციის კატეგორიას და სხვა განზომილებაში გადადის, კერძოდ, თუ მაგალითად, საქართველოში, კონკრეტული ფიზიკური პირი ირჩევს კონკრეტულ საბანკო დაწესებულებას ანაბარზე თანხის შეტანის მიზნით იმიტომ, რომ ამ ბანკს აქვს კარგი საანაბრე პირობები და უსაფრთხოდ ინახავს თანხას, საზღვარგარეთ, ამ შემთხვევაში, კარგი რეპუტაციის განმსაზღვრელი არის არა მარტო ის, თუ როგორ ინახავს თანხას ბანკი და რა საანაბრე პირობები აქვს მას, არამედ ასევე ის, იცავს თუ არა სათანადოდ დაწესებულება კონკრეტული პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც კონფიდენციალურობის მაღალი დონის მაჩვენებელია.

– როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო პერსონალურ მონაცემთა დაცვას?

– 2011 წლის მიწურულს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ამკვიდრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, როგორც მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველი პირის, ინსტიტუტს. იგი 2013 წელს იქნა არჩეული და მისი საქმიანობის შედეგები უკვე სახეზეა. მართალია, მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებს კურირებს სახელმწიფოში, მაგრამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საკმაოდ დიდი მოქმედების არეალი აქვს, რაც გამოიხატება კანონის დამრღვევი სუბიექტების მიმართ ფულადი სანქციების დაკისრებით.

– რატომ არის მონაცემთა დაცვა გამოწვევა სახელმწიფოსთვის?

– აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყო მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვება და შემელებისდაგვარად, ანალოგიურის დანერგვა. სახელმწიფოს მიერ ეს საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიზნის მისაღწევად, რამდენადაც ევროპულ სახელმწიფოებში და ასევე მსოფლიოს განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, თითქმის ყველგან, დიდ ყურადღებას უთმობენ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემატიკას. მიუხედავად ამისა, ეს კანონი კერძო სექტორის მიმართ სრულად არ არის ამოქმედებული, რაც მის ეფექტურობას აკნინებს და ადამიანის უფლების დაცვის მძლავრ მექანიზმად ვერ გვევლინება.

– რა კუთხით არ არის ამოქმედებული კანონი კერძო სექტორის მიმართ?

– კანონით დადგენილია როგორც ფულადი, ისე არაფულადი სანქციები იმ საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის, რომლებიც დაარღვევენ მოცემული კანონით დადგენილ წესებს მონაცემთა დამუშავებისთვის. საჯარო სექტორის მიმართ კანონი სრულად არის ამოქმედებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კონკრეტულ ფიზიკურ პირს დაერღვა უფლება პერსონალურ მონაცემებზე, მას შეუძლია მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ პირს – მონაცემთა დაცვის ინსპექტორს – განცხადებით, რის შემდეგაც ინსპექტორი წყვეტს, რაატაროს თუ არა კონკრეტული დაწესებულების შემოწმება, ხოლო შემოწმების შემდეგ – გამოსცეს შესაბამისი გადაწყვეტილება, მათ შორის ფულადი სანქციის დაკისრების შესახებ დამრღვევის მიმართ. საყურადღებოა, რომ აღნიშნული სანქციის ფარგლებში დაკისრებული ჯარიმის გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანის გზით და არ ითვალისწინებს ფიზიკური პირის კომპენსირებას. ამასთან, ინსპექტორს შემოწმებისა და შემდგომი, კანონით დადგენილი პროცედურების განხორციელება საჯარო სექტორის მიმართ საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია. რაც შეეხება კერძო სექტორს – ყველა ზემოხსენებული პროცედურის განხორციელება კერძო სექტორის მიმართ 2016 წლამდე კანონით დაუშვებელია.

– ეს ნიშნავს, რომ 2016 წლამდე ფიზიკური პირები ვერ დაიცავენ თავიანთ უფლებებს კერძო სექტორის მიერ მათი დარღვევის შემთხვევაში?

– რა თქმა უნდა, არა, მიუხედავად ზემოხსენებული ზეზღუდვებისა, ფიზიკურ პირებს, პერსონალურ მონაცემებზე უფლების დარღვევის შემთხვევაში კანონით უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

– რა არის საჭირო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მხარდასაჭერად?

– პერსონალურ მონაცემთა დაცვისათვის და შესაბამისი სფეროს გაძლიერებლად, მხოლოდ კანონის მიღება და თუნდაც მისი სრულად ამოქმედება არ არის საკმარისი. ვფიქრობ, პირველ რიგში თითოეულმა მოქალაქემ უნდა იზრუნოს საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაზე და არ გამოიჩინოს ინდიფერენტულობა. ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა, განურჩევლად პროფესიისა და საქმიანობისა, უნდა იცოდნენ ყველა ის იურიდიული საკითხი, რაც ამ სფეროს უკავშირდება – არა, აქ ძირითადად საუბარია, რომ ჩვენ ვიცოდეთ, რისი უფლება გვაქვს, მაგალითად, იმის, რომ მოვითხოვთ ინფორმაცია თუ ვის მიერ მუშავდება ჩვენი მონაცემი და რა მიზნისთვის, შევასწოროთ ისინი და ზოგიერთ შემთხვევაში – წავშალოთ. პერსონალურ მონაცემთა მიმართ ჩვენი უფლებების ჩამონათვალი არ არის იმდენად ვრცელი ან რთული, რომ ის არ ვიცოდეთ, ან ვერ დავიმახსოვროთ.

საზოგადოების აქტივობა უზრუნველყოფს ის კერძო თუ იურიდიული პირების მიერ შესაბამისი ზომების მიღებისთვის აქტიურ მუშაობას, რომლებიც იყენებენ ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს. მნიშვნელოვანი ამ პროცესში არის ის, რომ მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს ვერტიკალურად, ქვემოდან ზემოთ, ანუ საზოგადოების მიერ მონაცემთა დამმუშავებლების მიმართ – იმ პირების მიმართ, ვინც სხვადასხვა მიზნით იყენებს ჩვენს პერსონალურ მონაცემებს. სხვა შემთხვევაში, საჯარო და კერძო უწყებების მიერ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება და შესაბამისი წესების დახვეწა შესაძლოა საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი აღმოჩნდეს.

– თქვენი რეკომენდაციები.

– ზემოხსენებული საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა, რაც ეხება მონაცემთა დაცვასა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამომავლო დახვეწის საკითხებს:

1. აუცილებელია საზოგადოების თითოეული წევრის სათანადო აქტიურობა და დაინტერესება კანონით მისთვის მინიჭებული უფლებების შესახებ;

2. ის სუბიექტები, რომლებიც ამუშავებენ ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს, უნდა გამოვიდნენ რეაქტიული რეჟიმიდან და გადაერთონ პროაქტიულ მიდგომაზე, როდესაც ამ საკითხებზე ყურადღება მახვილდება არა კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე, არამედ თავად ამ სუბიექტის ინიციატივით, იქამდე, სანამ გარკვეული პრობლემატური საკითხი იჩენს თავს;

3. აუცილებელია კანონის სრული ამოქმედება კერძო სექტორის მიმართ, რამდენადაც პროცენტულად დამმუშავებლების საერთო რაოდენობის მეტ წილს სწორედ კერძო სუბიექტები შეადგენენ.







დავით კეზერაშვილს ბრალი დაუმძიმდა

შორენა გონგლაძე

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დავით კეზერაშვილისა და ალექსანდრე ნინუას ბრალდების შესახებ დადგენილება გამოიტანა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყებამ სპეციალური განცხადებაც გაავრცელა. როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დადგენილება სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ფაქტზეა გამოტანილი.

– საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე გამოიტანა დადგენილებები საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ალექსანდრე ნინუას ბრალდების შესახებ. გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წლის 10 იანვარს, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა, მასთან დაკავშირებული პირის, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიის სასარგებლოდ, თანხების გაფლანგვის მიზნით, გამოსცა ბრძანება – ხსენებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

ამავდროულად, დავით კეზერაშვილთან დანაშაულებრივ კავშირში ჩართულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ნინუა, რომელმაც კომპანიის გამოცდილების და შესაძლებლობების შეუმოწმებლად, 2008 წლის 10 იანვარს, აღნიშნულ კომპანიასთან თავდაცვის სამინისტროს სახელით გააფორმა ხელშეკრულება, თავდაცვის შესაბამისი ქვედანაყოფების გეგმიური საბრძოლო მომზადების შესახებ, რომლის ღირებულება განისაზღვრა 5 685 000 ევროს ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად, საავანსო თანხად განისაზღვრა მთლიანი თანხის 40%, მაშინ, როდესაც კომპანიას, რომელსაც საქართველოში წარმომადგენლობაც კი არ გააჩნდა, არ დაევალა საბანკო ანსხვა სახის გარანტიების წარმოდგენა, – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა, კომპანიას არანაირი წვრთნები არ ჩაუტარებია, მეტიც, ხელშეკრულება სინამდვილეში ფიქტიური იყო.

– დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიას სამხედრო ქვედანაყოფებში არანაირი სახის სასწავლო წვრთნები არ ჩაუტარებია. დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას თავდაცვის სამინისტროდან ოფშორულ ზონაში არსებულ საბანკო ანგარიშზე საავანსო თანხად გადაერიცხა 2 330 937 ევრო. ხოლო დარჩენილი თანხების გადარიცხვის მიზნით, თავდაცვის სამინისტროში ყალბი ანგარიში შედგა, თითქოსდა კომპანიის მიერ სამხედრო დანაყოფებში ჩატარებული სწავლებების შესახებ, რითაც კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა დამატებით 2 729 062.50 ევრო. მთლიანობაში, დავით კეზერაშვილმა და ალექსანდრე ნინუამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისე რომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბრძოლო სწავლების კურსები არ ჩატარებულა, კომპანიის სასარგებლოდ გაფლანგეს 5 060 000 ევრო, რითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. დავით კეზერაშვილს და ალექსანდრე ნინუას მიმართ გამოტანილია დადგენილებები მათი ბრალდების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ დავით კეზერაშვილი არის ძებნილი, მის მიმართ ინტერპოლის არხებით წარმოეს საერთაშორისო ძებნა, რის გამოც მას ბრალდება წარედგინება დაუსწრებლად, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი დააკავეს

შორენა გონგლაძე

ანტიკორუფციული დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე დააკავეს. კონკრეტულად რა გახდა სამმართველოს უფროსის გურამ სალაძის დაკავების მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია. სამართალდამცველები მის დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარს ჯერ არ აკეთებენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო სალაძის დაკავების ფაქტს ადასტურებს და აცხადებს, რომ დეტალების შესახებ განცხადება მოგვიანებით გავრცელდება. გავრცელებული ინფორმაციით, გურამ სალაძე ქრთამის აღების ფაქტზე აიყვანეს. ასევე ცნობილია, რომ ბრალდებული თბილისშია გადაყვანილი და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზეც თბილისის საქალაქო სასამართლო იმსჯელებს.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მედეა ვასაძე, კაკო ძნელაძე და ჯემალ ფუტკარაძე, ასევე პარლამენტარი მურმან დუმბაძე დღეს გურამ სალაძის დაკავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის არქივის შენობასთან მივიდნენ, ამის შესახებ ინფორმაციას „ნეტგაზეტი“ ავრცელებს. მურმან დუმბაძის განცხადებით, მისთვის უცნობია სალაძის დაკავების მიზეზი, დუმბაძე ამბობს, რომ მისთვის დაკავების ფორმაა მიუღებელი.

– არ ვიცი, დაკავების მიზეზი რა არის; მიზეზი ნაკლებად მაინტერესებს. მე მაინტერესებს აყვანის ფორმა – წესი და რიგი, რაც პრაქტიკულად გრძელდება ისე, როგორც იყო უწინ, ძველი ხელისუფლების დროს. არ ვარგა დესანტის გადმოსხმა, ათიულობით ადამიანის შევარდნა, ხელების გადაგრეხა, კარების მიკეტვა, სამსახურის გაჩერება. ადამიანს თუ აქვს დანაშაული, მისი ადეკვატური რეაქციები უნდა გააკეთოს სახელმწიფომ და უფრო თანაზომადი საშუალება უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ ბრალი წაუყენო. მაგონდება რამდენიმე თვის წინ ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარის ეგრეთ წოდებული ქრთამის აღება, რომელიც ვერ დამტკიცდა, ხელვაჩაურის გამგეებლის ლევან ლორთქიფანიძის გადაცდომა – ქრთამის აღება, რომელიც ვერ დამტკიცდა. დარწმუნებული ვარ, ეს კაცი არის უდანაშაულო, არავითარ ქრთამთან არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. ძალიან ბევრი ადამიანია უმუშევარი საქართველოში. მოდიან, ყველა რაღაცას ჰპირდება. მე გუშინ ას ადამიანს შევხვდი, ასევეს რაღაცა დავპირდი, ყველას მოვეფერე, ყველას მივეთბუნე, ყველას დავპირდი, აბა რა ვქნათ, არ დავპირდეთ ადამიანებს? და არ ვუთხრათ, რომ ჩვენ ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ ზოგი დასაქმდეს, ზოგი სამსახურში მოეწყოს, ზოგი უფლებაყრილი თუ არის, ის უფლება დავუბრუნოთ. ალბათ ვიღაცას დაჰპირდა სამსახურში მიღებას, მე ასეთი ეჭვი მაქვს. მე დილით დამირეკეს და სასწრაფოდ მოვედი. საათნახევრის განმავლობაში სამსახური იყო პარალიზებული. არ ვარგა ეს მეთოდი. მე ვარ ხელისუფლების წევრი და ჩემ თავს ვუწუნებ ამ ქმედებას.

დაკავების ფორმას აპრობატებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მედეა ვასაძეც, მისი ინფორმაციით, ის სამართალდამცავებმა მოსამართლის ნებართვის გარეშე დააპატიმრეს.

– საუბარია იმაზე, რომ ქრთამად აქვს აღებული თითქოს სამუშაოზე დასაქმების გამო 300 ლარი. საიდან იქნა ამოღებული რეალურად ეს სამასი ლარი, არ ვიცით, რადგან ჩხრეკას მოწმე არ დასწრებია. არის ბევრი საეჭვო კითხვა. გადაიყვანეს თბილისში, ალბათ თბილისის საქალაქო სასამართლო ორ დღეში განიხილავს აღმკვეთი ღონისძიების საკითხს და ვნახავთ, როგორ წარიმართება ვითარება. სასამართლოს განჩინების გარეშეა დაკავებული, თუმცა კანონი უშვებს გამონაკლის შემთხვევას, მაგრამ ეს ოპერაცია რადგანაც იყო წინასწარ დაგეგმილი, ეფიქრობ, იდგა სასამართლო განჩინებისა უცილებლობა, – აცხადებს ვასაძე.

112-ს ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის კრიზისის დაძლევის დეპარტამენტის დირექტორი ეწვია

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ს ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის კრიზისის დაძლევის დეპარტამენტის მმართველი დირექტორი აგოსტინო მიოცო ესტუმრა. სტუმარს „112“-ის დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი შეხვდა. დელეგაციის წევრებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დათვალიერეს, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და „112“-ის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა „112“-ის მიერ განხორციელებულ ცვლილებებსა და დაგეგმილი რეფორმებზე ისაუბრეს. განიხილეს ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ოპერაციული კოორდინაციის დეპარტამენტთან თანამშრომლობის საკითხები.

ასევე, ისაუბრეს ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ოპერაციული კოორდინაციის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანეს როლზე უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს მონიტორინგს და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებას 24 საათის განმავლობაში. ვიზიტის დასასრულს „112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნოუსბრეიკი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოლიართრიტის კოდრნალობა. დაზიანებული ჩრდილის და ტუბერკულოზური ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითბის დაბალანსება სახსარში, ჭალიოლების მოხსნა, ხერელი სისტემისა და ძვლის მონესრეგება. კოდრნალობა ალიერგიაში და ნაიერგიაზე სასარგებლო — ძვლია ჩვენ ხელებით, ჩვენ ფარული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის ბიოფიზიკის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და მძიმე ტვირთებისგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები ადეკვატურია და ყველა.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთევანი

ჩვენთან ერთად დაიცავით საყდრისი!

ეკა ირემაშვილი

საყდრისის გარშემო ვნებათაღელვა გრძელდება. საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივმა კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საყდრისის ისტორიული ძეგლის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და შემუშავდა კომიტეტის სამომავლო გეგმები. კომიტეტის წევრებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ის პირები, რომლებიც დაინტერესებული არიან ისტორიული ძეგლის მდგომარეობით.

საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრებს რამდენიმე უმთავრესი მოთხოვნა აქვთ. ისინი ითხოვენ, გასაჯაროვდეს ის კრიტერიუმები, რომლის თანახმადაც შეირჩა ორი ექსპერტი, რომლებიც „არემჯი გოლდმა“ მოიწვია, ასევე გასაჯაროვდეს ის ტექნიკური მისია, რომლისთვისაც ექსპერტები მოიწვიეს და აეხსნას საზოგადოებას, რატომ უგულებელყვეს გერმანიის სახელმწიფოს მოთხოვნა და აშშ-ს დახმარების შემოთავაზება საექსპერტო კუთხით. ისინი ასევე ითხოვენ პროცესების გამჭვირვალედ წარმართვას და პროცესებში მათ ჩართვას, აგრეთვე ინფორმაციას იმ ექსპერტებზე, რომლებიც თბილისში უკვე რამდენიმე დღეა იმყოფებიან სახელმწიფოს მოწვევით და საყდრისის საკითხის ირგვლივ მუშაობენ.

შეკრების დაწყების წინ საყდრისის კომიტეტის წევრმა ნინო მიქიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საყდრისში ავიდა 5 ადამიანი, რომლებიც ელექტროხერხით ჭრიან გზის პირას დარჩენილ ხეებს და ბუჩქებს. მისივე თქმით, უცხოეთიდან ორი ექსპერტის ჩამოყვანა გაუმჭვირვალედ მოხდა.

— ძეგლთა დაცვის სააგენტოში უცხოელი ექსპერტები შეხვდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ-გერმანულ ექსპედიციაში მუშაობდნენ. ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში ქართულ-გერმანული ექსპედიციის წევრები და ჩამოყვანილი ექსპერტები, რომელთა შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გვაქვს, ერთად აპირებენ საყდრისში ჩასვლას. ჩვენ ამ ექსპერტების ჩამოყვანას არ ვითხოვდით, ჩვენ ვითხოვდით იმ ექსპერტების ჩამოყვანას, რომელიც შესთავაზა გერმანიის ხელისუფლებამ საქართველოს. ეს ექსპერტები არ ჩამოუყვანიათ. პროცესები მიდის გაუმჭვირვალედ, ჩვენ არ ვენდობით იმ პროცესს, რომელიც მიდის და რომელსაც ძეგლთა დაცვის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ხელმძღვანელობს. პროცესი მიმდინარეობს გაუმჭვირვალედ. ძეგლთა დაცვის სააგენტოა ამ ამბის მოთავე და ისინი წარმართავენ პროცესს გაუმჭვირვალედ. კულტურის მინისტრი აღარაფერში ერევა. ჩემი და ჩემი მეგობრების ინიციატივა იყო, რომ შევხვდეთ უწმინდესს, ჩვენს სულიერ მამას. ჩვენ ადრეც მივმართეთ წერილობით, დოკუმენტაციაც წარვადგინეთ, გარკვეული შეხვედრაც იყო საპატრიარქოში. ასე რომ, ის, რომ ეკლესია განზე დგას და გულგრილია, ეს არ არის მართალი, — განაცხადა ნინო მიქიაშვილმა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა განაცხადა, რომ ამ ექსპერტების ჩამოსვლას არავინ ელოდა და სრულიად გაურკვეველი კრიტერიუმებით იქნენ ისინი შერჩეული:

— ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საყდრისის საბადოში სამუშაოდ ჩამოსულ გაურკვეველი კრიტერიუმებით არჩეულ 2 ექსპერტს საზოგადოების მხრიდან ნდობის მანდატი არ გააჩნია. გვაინტერესებს, რატომ უგულებელყო საქართველოს კულტურის სამინისტრომ გერმანიის სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული 5-კაციანი ნუსხა ავსტრიელი, ესპანელი, ირლანდიელი, ფრანგი და ბულგარელი ექსპერტებისა, ან რატომ მოხდა ამერიკის საელჩოს მიერ შემოთავაზებული 15-კაციანი ჯგუფის უგულებელყოფა, რომელიც აშშ-ის სამეცნიერო ინსტიტუტების ყველაზე პრესტიჟული და ცნობილი ექსპერტებისგან შედგებოდა? ტექნიკური დავალება, რომლის შესრულებაც საქართველოში ჩამოყვანილ 2 ექსპერტს დაეკისრა, ძალიან სუსტი და დაუმუშავებელია. მასზე მსჯელობა საზოგადოებრივი და გამჭვირვალე უნდა იყოს. საჭიროა კვალიფიციური ექსპერტების და დარგის სპეციალისტების კომპეტენტური აზრი.

საიას თავმჯდომარის კახა კოჟორიძის განცხადებით, საია ამ საკითხით თავიდანვე დაინტერესდა და ამ ეტაპზე მათ საჩივარი აქვთ შეტანილი საქართველოს მთავრობაში:

— ამ ეტაპზე ჩვენ საჩივარი გვაქვს შეტანილი საქართველოს მთავრობაში და ვითხოვთ, ბათილად ცნონ კულტურის სამინისტროს ის აქტი, რომლითაც კომპანიას ობიექტის მიმართ ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიეცა. ასევე შევიტანეთ საჩივარი პროკურატურაში და ვითხოვთ გამოძიების დაწყებას იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რასაც თავის დროზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ავრცელებდა, რომ ვიდრე კომპანიას ნებართვა ექნებოდა, მანამდე დაიწყეს სამუშაოები. დღეს არსებული მდგომარეობა არ არის სახარბიელო, ყველამ იცის, რომ იქ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამუშაოები. ჩვენი ინფორმაციით. მართალია ჩამოვიდნენ საერთაშორისო სპეციალისტები, როგორც კომპანიის წარმომადგენლები და სამინისტრო ამბობს, მაგრამ ეს მაინც არ არის ის პროცესი, რაც ჩვენ მოგვცემს მშვიდად ყოფნის საშუალებას. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამ პრობლემით უკვე დიდი ხანია რაც დაინტერესდა და არაერთი აქტივობა გვაქვს განხორციელებული ამ მიმართულებით.

თავის მხრივ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს მთავარ პროკურატურას საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა. საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძე საქართველოს მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილს შემდეგ კითხვებზე სთხოვს პასუხებს:

„დაწყებულია თუ არა გამოძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, 2014 წლის 14 იანვრის წერილთან დაკავშირებით? სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით მიმდინარეობს გამოძიება? დადგა თუ არა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი?

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მისცეთ სამართლებრივი შეფასება „საყდრისი-ყაჩაღიანის“ ობიექტზე განვითარებულ მოვლენებს და დაიწყოთ გამოძიება.

თქვენი რეაგირების შესახებ, შემჭიდროებულ ვადებში გვაცნობეთ წერილობითი ფორმით.“

კახა კოჟორიძე განმარტავს, რომ არემჯი გოლდმა სამუშაო უფლება 13 მარტს მიიღო, თუმცა ადგილზე მუშაობა იანვარში უკვე დაწყებული ჰქონდა.

„2014 წლის 14 იანვარს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის შსს-ს სამმართველოს კაზრეთის განყოფილებაში შეიტანეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, თანდართული მოხსენებითი ბარათით ცნობილი გახდა, რომ 2014 წლის 8 იანვარს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი ჰქონდა კლდის მასივში ამოკვეთილი კლდის ძველი აუზის და მის გვერდით არსებული, ასევე კლდეში ნაკვეთი მადნის გასამდიდრებელი სანაყის მონგრევის ფაქტს. ანუ ეს ამბავი ეწერა იმ კორესპონდენციაში. ეს ჟურნალისტების მოტანილი ან გამვლელის მიერ ნათქვამი არ არის, ეს არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში არსებული ინფორმაცია.

ასევე 2014 წლის 6 აპრილს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში აჩვენეს სტუდია „მონიტორის“ დოკუმენტური ფილმი, სადაც ასევე საუბარი იყო საყდრისზე და ამ ფილმში საუბარი იყო იმაზე, რომ სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიების თანახმად ფიქსირდებოდა, რომ მანამდე, სანამ 2014 წლის 13 მარტს კულტურის სამინისტრო წერილობით დოკუმენტს შეადგენდა იმის შესახებ, რომ კომპანიას ეძლეოდა ფართომასშტაბიანი მშენებლობის უფლება, მანამდე დაიწყო იქ მსგავსი სამუშაოები.

სისხლის სამართლის 259 პრიმა მუხლი ამბობს, რომ არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება, არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე, ან განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი განადგურება ან დაზიანება გამოიწვია, ან დაზიანების გამო ვერ ხერხდება დათარიღება და მასთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, არის დანაშაული და ისჯება კანონით.

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, როდესაც ასეთი ტიპის ინფორმაცია ვრცელდება, სამართალდამცავ ორგანოს აკისრებს ვალდებულებას გამოძიების დაწყების.

ჩვენ ვამბობთ ძალიან მარტივ რამეს, არქეოლოგიურ ობიექტზე არ შეიძლება სათანადო ნებართვის გარეშე სამუშაოს წარმოება. დასტურდება ის, რომ მხოლოდ მარტში მიიღო კომპანიამ ასეთი თანხმობა და როცა სააგენტო ამბობს, რომ იანვარში გაიცა თანხმობა, ესე იგი შესაძლებელია, რომ იანვარში დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსი.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვითხოვთ ძალიან მარტივ რამეს, აქამდეც მივმართეთ და კიდევ ერთხელ მივმართავთ პროკურატურას, ვითხოვთ ინფორმაციას იმის შესახებ, დაიწყო თუ არა ამ საკითხზე გამოძიება. თუ დაიწყო, გვაცნობონ, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, თუ არ დაწყებულა გამოძიება, ვითხოვთ გამოძიების დაწყებას.“

სხდომას ცოტნე გამსახურდიაც ესწრებოდა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში იგეგმება ბიძინა ივანიშვილისათვის წერილის გაგზავნა:

— უახლოეს მომავალში ჩვენ ვაპირებთ მივმართოთ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელიც პასუხისმგებელია საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გაუქმებაზე, ასევე მივმართავთ როგორც ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელს. ასევე მივმართავთ პატრიარქს და ეკლესიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს და დავაყენებთ მათ წინაშე შემდეგ მოთხოვნებს, რომ აღმოფხვრილი იქნას ის კანონდარღვევები, რაც დაშვებული იქნა საყდრისისთვის კულტურული ძეგლის სტატუსის გაუქმების დროს.

ვნებათაღელვის პარალელურად, საერთაშორისო ექსპერტებმა საყდრისის საკითხის შესწავლა დაიწყეს. საქართველოში გერმანელი ალბრეხტ იოკენ-ჰოველი და ბულგარელი ვენელინ იელევი იმყოფებიან. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის განცხადებით, საერთაშორისო ექსპერტები ჯერჯერობით დოკუმენტაციას სწავლობენ, რის შემდეგაც ისინი შეხვედრებს გამართავენ როგორც კომპანიის წარმომადგენლებთან, ისე „საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის“ წევრებთან, რომლებიც უკვე მესამე კვირაა კაზრეთში აქციას მართავენ.

საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრი მარინე მიზანდარი აცხადებს, რომ შეხვედრის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

განცხადებები

● გთავაზობთ რკინის კარებზე საიმედო ახალი საკეტების დაყენებას. სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ტელ: 279-90-68; 877-46-60-45. გელა.

● იყიდება მიწის ნაკვეთი შეკვეთილში, საუკეთესო ადგილზე, მირაჟის ტერიტორიაზე, ნაძვნარში, ზღვისპირიდან 70 მეტრში, 210 კვ.მ. 1 კვ.მ-ის ფასია 100 დოლარი. ტელ: 551-76-04-40.

● სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა, 55 კვ.მ (დუპლექსი), გამოდგება საოფისედ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტერენტი გრანელის ქუჩა. ტელ: 574-88-13-80 რაშიდი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

პსპ ნაკრების სპონსორი იქნება

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეროვნული ნაკრებისა და კომპანია „პსპ“-ს შორის „ტექნიკურ სპონსორობის“ რამდენიმე წლიანი თანამშრომლობის საფუძველზე მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ფედერაციის მხრიდან პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, „პსპ“-ს მხრიდან კი დირექტორმა გოჩა გოგილაშვილმა მოაწერს ხელი „პსპ“-ს ცენტრალურ ოფისში.

„პსპ“ ეროვნული ნაკრების ტექნიკური სპონსორი 2011 წელს გახდა. ეროვნულთან ერთად „პსპ“ მედიკამენტებით ასაკობრივ ნაკრებებსაც ამარაგებდა. ახალი ხელშეკრულება 2-წლიანია, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს ნაკრების ტექნიკური სპონსორი „პსპ“ 2016 წლის ჩათვლით იქნება.

მიხეილ გაბრიჩიძე, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

— მადლობა კომპანია „პსპ"-ს თანამშრომლობისთვის. მოგეხსენებათ, კალათბურთელებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანია მედიკამენტებით მომარაგება და 2016 წლის ჩათვლით კომპანია „პსპ“ როგორც ეროვნული ნაკრებს, ასევე ასაკობრივ ნაკრებებს სრულიად უზრუნველყოფს საჭირო მედიკამენტებით. იმედია მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა და კომპანია „პსპ“ ქართულ კალათბურთს ყოველთვის მხარში დაუდგება.

გოჩა გოგილაშვილი, კომპანია პსპ-ს დირექტორი:

— გავაფორმეთ მემორანდუმი საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, რაც გულისხმობს ეროვნული და ასაკობრივ ნაკრებების მომარაგებას საჭირო მედიკამენტებით. ქართული სპორტის გვერდში დგომა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა და ჩვენი კომპანია ყოველთვის მზად არის მხარში დაუდგეს ქართულ კალათბურთს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მის პოპულარიზაციას.

მეოთხე ნახევარფინალისტი ქუთაისია

ქუთაისი — სოხუმი 71:67
(18:20; 17:12; 16:19; 20:16)

სუპერლიგის მეოთხე ნახევარფინალისტი ცნობილია. მეოთხედფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტ მატჩში „ქუთაისმა“ საკუთარ მოედანზე დაძაბულ ბრძოლაში – 71:67 დაამარცხა „სოხუმი“ და ნახევარფინალში გავიდა.

მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წამებზე გადაწყდა. სოხუმელებმა, რომლებმაც ჩემპიონატის მსვლელობისას ყველა ლეგიონერი დაკარგეს და თვეების განმავლობაში უხელფასოდ თამაშობენ, ქუთაისელებს უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს და საბოლოო წარმატებამდე მცირედი დააკლდათ.

სერიის გადამწყვეტი მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში თანაბარი იყო – 65:65. მატჩის დასრულებამდე 37 წამით ადრე საჯარიმოს ხაზიდან ორივე ზუსტი სროლით ანგარიში სოხუმელმა ბექა ბექაურმა გაათანაბრა. საპასუხოდ ქუთაისელთა აზერბაიჯანელმა გამთამაშებელმა, რომელიც საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი გახდა, ზუსტი გარღვევით მასპინძლები დააწინაურა – 67:65.

სოხუმელებმა გადამწყვეტ ეპიზოდში ორჯერ დაკარგეს ბურთი, რომელთა შორისაც ფაშაევმა ორქულიანი ააცილა. მატჩის დასრულებამდე 12 წამით ადრე აკაკი დვალიშვილმა ზუსტი სროლით „ქუთაისი“ 4 ქულით დააწინაურა და მატჩის ბედიც გაირკვა.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხან – მეორე. ვერც ერთი მათგანი ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდა. აღსანიშნავია, რომ უმეტეს წილად წინ ქუთაისელები იყვნენ, თუმცა მატჩის ბოლო წუთს გუნდები თანაბარი ანგარიშით შეხვდნენ.

გამარჯვებულებს 23 ქულით ფაშაევმა ულიდერა, აკაკი დვალიშვილმა ქუთაისელებს 13 ქულა და 11 მოხსნა მიაშველა. გოგა ცეკვავას ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა, რევაზ დიდიამ პირად ანგარიშზე 11 ქულა ჩაიწერა.

„სოხუმში“ 20 ქულით ბომბარდირი ვახტანგ ქადარია გახდა, 19 ქულა ირაკლი ჩლაიძის ანგარიშზეა, ბექა ბექაურმა კი ორმაგი დუბლი შეასრულა – 14 ქულა, 11 მოხსნა.

მედეა მხეიძე, ქუთაისის მწვრთნელი:

– ბოლო წუთზე გადაწყდა თამაშის ბედი და როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დაძაბული გამოდგა შეხვედრა. მატჩის დასაწყისში თამაში არ წაგვივიდა და ისე გამოვიდა, რომ მთელი შეხვედრა მდევრის როლში აღმოვჩნდით. საბედნიეროდ, სასურველ შედეგს მივაღწიეთ, რაც სწორი ტაქტიკის წყალობით და ბიჭების უდიდესი მონდომებით მოხდა. „სოხუმი“ ბრწყინვალე გუნდია და ვისურვებ მალე მოეგვარებინოს ფინანსური პრობლემები. იმედია, მომავალს წელს ეს ასეც იქნება და დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მთავარი მწვრთნელი):

– დიდი საკალათბურთო დღე იყო. სასიამოვნო იყო, რომ ქუთაისელი გულშემატკივარი დღეს ისევ გვიკრავდა ტაშს. ამაყი ვარ ჩემი გუნდით და ბიჭებით.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში გასული 4 გუნდი შემდეგნაირად დაწყვილდა: დინამო-ბათუმი, არმია-ქუთაისი. ნახევარფინალური სერიები 9 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება.

დინამოს აკადემიას ჰოლანდიელი უხელმძღვანელებს

ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს“ აკადემიაში კლუბის პრეზიდენტმა, ბატონმა რომან ფიფიამ აკადემიის ახალ ხელმძღვანელად ჰოლანდიელი ფეხბურთის სპეციალისტი – ლუკ ნაიჰოლტი წარადგინა.

რომან ფიფია:

– იმ ერთი წლის მანძილზე, რაც დინამოს აკადემია ოფიციალურად ფუნქციონირებს, შეიქმნა სრულიად ახალი საფეხბურთო გარემო, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. „დინამოს“ მთავარი პრიორიტეტია ვიყოთ ყველაფერში პირველები და წარმატებულები. ამისთვის მეც და მთელი ჩვენი გუნდი ყველაფერს ვაკეთებთ. ჩვენი მომავალი წარმატებისთვის აუცილებელია, რომ აკადემიის ბავშვები დაეუფლონ ისეთ ფეხბურთს, რომელსაც დღეს ევროპაში თამაშობენ. შესაბამისად აკადემიის ხელმძღვანელის შერჩევისას არაერთი კანდიდატურა განვიხილეთ და საბოლოოდ ჩვენი არჩევანი ლუკ ნაიჰოლტზე შეჩერდა.

ირაკლი ვაშაკიძე:

– ლუკ ნაიჰოლტს, რომელიც ამიერიდან ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელი იქნება– წარმატებებს ვუსურვებ. გიორგი მინაშვილი დარჩება ჩვენთან და იმუშავებს ბატონ ლუკთან. მინდა მადლობა გადაუხადო გიორგის გაწეულ საქმიანობაში.

ლუკ ნაიჰოლტი:

– უპირველესად აღვნიშნავ, რომ მოხარული და მოხიბლული ვარ აქ ყოფნით. ევროპაში უამრავ კლუბს შეშურდება აქაური გარემო და ინფრასტრუქტურა. გვაქვს ყველანაირი პირობა რათა ჩვენი მუშაობა და შედეგები მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ. მწვრთნელებს მთლიანად გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას და მაქსიმალურად დავხვეწავთ ახალგაზრდების საფეხბურთო მონაცემებს. შეიძლება ითქვას, რომ 90 პროცენტი ერთად ვიქნებით მოედანზე და 10 პროცენტი – ოფისში.

ზუგდიდმა შანსი შეინარჩუნა

ზუგდიდი — სპარტაკი 1:0

განმუხური. ცენტრალური

1:0 კირკიტაძე (41)

ზუგდიდი: ქვილითაია, კანკია, მირცხულავა, აფაქიძე, ქვარცხავა, ჯავაშვილი, ქებაძე, გუგუჩია (ბულია 87), კირკიტაძე, გ.სამუშია (შალიკაშვილი 82), წიტაიშვილი (სიხარულია 58)

სპარტაკი: ნადირაძე, თუხარელი (გაბაშვილი 86), შონია (ზურძენაძე 77), კაკუბავა, იოსელიანი, ო.ხიზანეიშვილი (მეტრეველი 64), მგელაძე, ეხვაია, თექთურმანიძე, პარუნაშვილი, ცერცვაძე

მატჩი, რომლის შედეგსაც „ზუგდიდითვის“ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, მათივე უპირატესობით წარიმართა. სანახაობრივი თვალსაზრისით, პირველს მეორე ტაიმი სჯობდა, თუმცა გოლი, რომელმაც ასე საჭირო გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს, საწყის 45-წუთეულში გავიდა.

41-ე წუთზე ცხინვალელთა საჯარიმოში გურამ სამუშიას აქტიურობას, ამ უკანასკნელისგან კარის გასწვრივ დარტყმა მოჰყვა, კიპერმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და გამოგდებულზე დათო კირკიტაძის დარტყმით მატჩის შედეგი დაფიქსირდა – 1:0. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელთა განაპირა ნახევარმცველი ბოლო 4 მატჩში მოედნიდან გოლის გატანის გარეშე არ გადის.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შესამჩნევად იგდეს უპირატესობა. გიორგი ნადირაძის კართან არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა. 47-ე წუთზე კლიმენტი წიტაიშვილი ხელსაყრელი სიტუაციიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი ბადეს გარედან მოხვდა. 55-ე წუთზე კირკიტაძე საჯარიმოს გარედან დაემუქრა „სპარტაკის“ კარს, თუმცა ბურთი მეკარის იოლი ნადავლი შეიქნა.

სტუმართა კარს ერთხელ ლუკა გუგუჩიაც დაემუქრა. მისგან შორიდან დარტყმულს კიპერი ადგილზე დაუხვდა. 73-ე წუთზე ზუგდიდელთა სწრაფ იერიშს ეფექტურად გათამაშებული კომბინაცია მოჰყვა. მარჯვენა ფლანგიდან რომეო კანკიას მიერ შესრულებულ გადაცემას სამუშია თავურით აგვირგვინებდა, თუმცა ნადირაძე კვლავ იქ აღმოჩნდა, სადაც ბურთს კარის ხაზი უნდა გადაეკვეთა.

მოკლედ, მაყურებელს მოსაწყენად არ ეცალა. და, რაც ყველაზე მთავარია, „ზუგდიდმა“ პირველ ტაიმში მიღწეული შედეგის შენარჩუნებაზე თამაშს, მეორეში გაცილებით „აგრესიული“, შემტევი ტაქტიკით ასპარეზობა ამჯობინა. ამან კი, მეტოქეს თუნდაც ქულის მოპოვების იოტისოდენა შანსი დაუკარგა.

დილა — ტორპედო 3:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 რაჟამაშვილი (1), 2:0 სადაღაშვილი (14), 3:0, ქვილითაია (91)

დილა: შეყრილაძე, გაფრინდაშვილი, ი.ლომიძე, კვახაძე, კობახიძე, ნოზაძე, დ.ბოლქვაძე (გოროზია 86), კოშკაძე (კორღალიძე 46), რაჟამაშვილი, სადაღაშვილი (ბერიძე 82),გ. ქვილითაია

ტორპედო: კვასხვაძე, ადამაძე, თოდუა, სავჩენკოსი, ჩადუნელი, ჩიკვილაძე, მამასახლისი (ბერუაშვილი 66), გელაშვილი (ხარაბაძე 73), მარკოზაშვილი, ტუღუში, კვერნაძე (გოგიჩაიშვილი 65)

მატჩი მთლიანად გორელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი წუთები ძალიან ცუდად დაიწყო სტუმრებისთვის. პირველი მომენტი შეიქმნა და ნოდარ ნოზაძის გადაცემის შემდეგ რაჟამაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა – 1:0.

გოლის შემდეგ „ტორპედომ“ წამოიწყო შეტევა და მეორე წუთზევე შეეძლოთ გათანაბრება, თუმცა კვერნაძემ მეკარეს ვერ აჯობა და შეყრილაძემ აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი გუნდი. მეხუთე წუთზე კუთხურს „დილას“ კართან ხიფათი მოყვა – ჩიკვილაძის ჩაწოდების შემდეგ, ჩადუნელი თავით ურტყამდა და გორელები ხარიხამ იხსნა. ეს მომენტები მასპინძლებმა მეტოქეს არ აპატიეს და მე-14 წუთზე რაჟამაშვილმა გამოზომილი პასით ნიკოლოზ სადაღაშვილი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელმა ორამდე გაზარდა სხვაობა – 2:0.

ორბურთიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ, მასპინძლებმა აღარაფერი დაუთმეს მეტოქეს. ბურთსაც ფლობდნენ და თამაშიც თვითონ მიჰყავდათ. მომენტები მრავლად იქმნებოდა ამ შეხვედრაში. იყო კოშკაძის ორი სახიფათო და მცირედით არაზუსტი დარტყმები, ასევე ტუღუშის მცდელობა, რომელიც რიკოშეტის შემდეგ შეყრილაძემ მოიგერია. ბოლოს კი რაჟამაშვილმა მახვილი კუთხიდან ძელს მოახვედრა. გიორგი ქვილითაიასაც ჰქონდა შანსი, თუმცა ჩანაფიქრს კვასხვაძე მიუხვდა.

მეორე ტაიმიც კარგი სანახავი გამოდგა. გიორგი ბერიძემ რაჟამაშვილის პასის შემდეგ მცირე მანძილით ააცდინა. ქვილითაიამ კი, გოლიც გაიტანა, თუმცა გვერდითა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. ბოლო წუთზე ბერიძემ თამაშის წესების სრული დაცვით გიორგი ქვილითაიას ზუსტი პასი გაუკეთა და – 3:0.

მერანი — ვიტ ჯორჯია 0:2

მცხეთა. მცხეთა პარკი

0:1 დემეტრაშვილი (34), 0:2 დავლაშელიძე (37)

მერანი: ბეგაშვილი, გეგეჭკორი, იობაშვილი (ჯღამია 37), გაბუნია, ხუბუა (ბენაშვილი 46), მელიავა, ფონიავა (ჩხეტიანი 67), ბაბუნაშვილი, ჯოჯუა, დეკანოსიძე, კუჭუხიძე

ვიტ ჯორჯია: შეროზია, საბაძე, ღონღაძე, მერაბიშვილი, მჭედლიშვილი, ღიბრაძე, მაისურაძე (სიჭინავა 59), დავლაშელიძე (გახარია 65), კორიფაძე, დემეტრაშვილი, ლობჯანიძე (კვირკვია 75)

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მარტვილელებმა მეტოქეს მისსავე მოედანზე უმასპინძლეს. საქმე ის არის, რომ „მერანს“ დისკვალიფიკაცია აქვს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიისთვის“ რომ ემასპინძლათ მცხეთის გარდა სხვა სტადიონი ვერ მოიძებნა. ეს განსაკუთრებით ყურადღებით იმათმა წაიკითხონ, ვისაც გუნდების გაზრდაზე აქვთ პრეტენზია.

სტუმრად მყოფმა მასპინძლებმა კი 2:0 მოიგეს. ჯერ კორიფაძემ კარგი პასი გაუკეთა დემეტრაშვილს, რომელმაც უნაკლოდ დაარტყა, შემდეგ კი ასისტენტად უკვე დემეტრაშვილი მოგვევლინა, რომელმაც დავლაშელიძეს გაატანია. ეს ყველაფერი 3 წუთში მოხდა.

სატურნირო ცხრილი 7-12
ადგილებისთვის:

7.ვიტ ჯორჯია	30	13	6	11	40:38	45
8.ტორპედო	30	12	6	12	36:43	42
9.დილა	30	11	8	11	43:33	41
10.სპარტაკი	30	10	4	16	30:37	34
11.ზუგდიდი	30	8	6	16	22:42	30
12.მერანი	30	6	4	20	21:56	22

მესის ახალი კონტრაქტი ახალი მოთხოვნებით

„ბარსელონა“ არგენტინელ ვარსკვლავთან ახალ კონტრაქტს აფორმებს. ხელშეკრულების დადებამდე, მესიმ რამდენიმე მოთხოვნა წამოაყენა: სეზონში 20 მილიონი ევრო, სერხიო აგუეროს ყიდვა და ხოსე პინტოსთვის კონტრაქტის გაფორმება.

როგორც ესპანური მედია იუწყება, ლეო გარდა 20 მილიონისა, წელიწადში 4 მილიონს მიიღებს ბონუსის სახით. ახალი კონტრაქტით, მესი „ბარსას“ ღირსებას 2019 წლამდე დაიცავს. ამავე წყაროს ინფორმაციით, კლუბსა და მთავარ ვარსკვლავს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ის სულ მალე დასრულდება კიდეც. მთავარი არგუმენტი კი ის არის, რომ მესის საშუალება უნდა ჰქონდეს მშვიდად მოემზადოს მსოფლიო მუნდიალისთვის.

მოლაპარაკებების დროს, არგენტინელმა კლუბს სერხიო აგუეროს ყიდვა სთხოვა, ასევე მან ხოსე პინტოსთვის კონტრაქტის გახანგრძლივებაც ისურვა. პინტოსთან მესის ახლო მეგობრობა აკავშირებს.

მოქმედი კონტრაქტი 2018 წელს იწურება, 26 წლის ფეხბურთელი ხელშეკრულების ამ პირობებით 14,6 მილიონ ევროს გამოიმუშავებს სეზონში. 15 მილიონ ევროს კი ის რეკლამებით იღებს.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

მანჩესტერი-ჰალი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	37	25	6	6	99-49	81
2.სიტი	36	25	5	6	96-37	80
3.ჩელსი	37	24	7	6	69-26	79
4.არსენალი	37	23	7	7	66-41	76
5.ევერტონი	37	20	9	8	59-39	69
6.ტოტენჰემი	37	20	6	11	52-51	66
7.მანჩესტერი	37	19	6	12	63-42	63
8.საუთჰემპტონი	37	15	10	12	53-45	55
9.ნიუკასლი	37	15	4	18	42-57	49
10.სტოკი	37	12	11	14	43-51	47
11.კრ. პალასი	37	13	5	19	31-46	44
12.ვესტ ჰემი	37	11	7	19	40-49	40
13.სუონსი	37	10	9	18	51-53	39
14.ასტონ ვილა	36	10	8	18	39-54	38
15.ჰალი	37	10	7	20	38-51	37
16.ვესტ ბრომვიჩი	36	7	15	14	42-55	36
17.სანდერლენდი	36	9	8	19	38-57	35
18.ნორვიჩი	37	8	9	20	28-60	33
19.ფულემი	37	9	4	24	38-83	31
20.კარდიფი	37	7	9	21	31-72	30

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-სასუოლო 3:4
ნაპოლი-კალიარი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	36	31	3	2	76-23	96
2.რომა	36	26	7	3	72-23	85
3.ნაპოლი	36	21	9	6	67-36	72
4.ფიორენტინა	36	18	7	11	62-42	61
5.ინტერი	36	14	15	7	57-36	57
6.ტორინო	36	15	10	11	55-45	55
7.პარმა	36	14	12	10	55-45	54
8.მილანი	36	15	9	12	54-46	54
9.ლაციო	36	14	11	11	52-50	53
10.ვერონა	36	16	5	15	59-61	53
11.ატალანტა	36	14	5	17	40-48	47
12.სამპდორია	36	12	8	16	43-54	44
13.უდინეზე	36	12	6	18	41-52	42
14.ჯენოა	36	10	11	15	38-46	41
15.კალიარი	36	9	12	15	34-49	39
16.სასუოლო	36	8	7	21	38-68	31
17.კიევო	36	8	6	22	31-53	30
18.ბოლონია	36	5	14	17	27-55	29
19.კატანია	36	6	8	22	30-64	26
20.ლივორნო	36	6	7	23	39-74	25

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ანჟე-ნიმი 2:3
დიჟონი-შატორუ 2:1
ისტრი-ლანსი 1:6
კრეტეი-ნიორი 1:1
ლავალი-ნანსი 1:0
ოსერი-ლე ავრი 2:1
ბასტია-კლერმონი 1:1
ტრუა-მეცი 0:1
ტური-არლე 2:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

როსი-ჰიბერნიანი 1:0
დ.იუნაიტედი-აბერდინი 1:3

შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-ციურიხი 1:0

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფი

სან ანტონიო-პორტლენდი 116:92
სერიის ანგარიში 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

კონსერვატორიაში უნიკალური პროექტი განხორციელდება

ეკა ირემაშვილი

რიგით მეცხრე საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში უნიკალური პროექტი განხორციელდება.

8, 9 და 10 მაისს პირველად საქართველოში პრესტიჟული ჯილდოების მფლობელები მევიოლინე იზაბელ ფაუსტი (გერმანია) და პიანისტი ალექსანდრე მელნიკოვი წარმოადგენენ გრემის ჯილდოს მფლობელ პროექტს საქართველოში.

– ეს იქნება სამი დაუვიწყარი საღამო და ბეთჰოვენის ყველა სავიოლინო სონატა, – აცხადებს ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი მანანა ხვედელიძე.

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ 25 აპრილს დაიწყო და 23 მაისამდე გაგრძელდება.

– ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის და აკაკი რამიშვილის ფონდის „ტრადიცია და ინოვაცია“ მიერ არის დაარსებული. უკვე გაიმართა ფესტივალის კონცერტები როგორც თბილისში, ასევე რეგიონულ ცენტრ ყვარელში. ამჯერად ფესტივალი კვლავ თბილისში დაბრუნდა, სადაც ბეთჰოვენის ყველა სავიოლინო სონატა აჟღერდება. 22 მაისს ფესტივალი ვანში ჩავა, ხოლო დასკვნითი კონცერტი 23 მაისს ბათუმში გაიმართება, – აღნიშნავს მანანა ხვედელიძე.

„ოქროს ფრთა“ ვახტანგ კახიძეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

განსაკუთრებულ დღეს და ჟურნალისტებს ეუბნებიან მადლობას, თან მაშინ, როცა მათ საოცრად დაძაბულ ვითარებაში უწევთ მუშაობა, – განაცხადა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთა“ პრეზიდენტმა თამარ ფხაკაძემ.

ჟიურის ერთ-ერთი წევრის ნეკა სებისკვერაძის თქმით:

– ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის მიერ დაწესებული „ოქროს ფრთის“ მე-12 დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ჟიურიმ, რომელთა შემადგენლობაშიც გახლდით, 13 გამარჯვებული გამოავლინა, ვულოცავ ყველა გამარჯვებულს, მადლობა ორგანიზატორებს, რომ მომეცა შესაძლებლობა ჟიურის მეტად საპატიო წევრებთან ერთად მემუშავა „ოქროს ფრთა 2014“-ის გამარჯვებულთა გამოსავლენად. პირადად „ოქროს ფრთა“ გადავეცი მუსიკის კრიტიკოსს, უაღრესად საინტერესო პიროვნებას, საუკეთესო მუსიკალური გადაცემის „უცნობი მუსიკის“ თანაავტორსა და თანაწამყვანს, ბატონ კახა თოლორდავას. „უცნობი მუსიკის“ შექმნისათვის დიდი მადლობა ბატონ კახასა და ბატონ გია ხადურს, მჯერა, რომ ასეთი მაღალი პროფესიონალიზმით მომზადებული, ჟანრობრივად ასეთი მრავალფეროვანი მუსიკალური ტელეგადაცემა დიდხანს იარსებებს ქართულ ტელესივრცეში.

ეკა ირემაშვილი

ავღანეთიდან 31-ე ბატალიონის მორიგი ნაკადი დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის მორიგი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. 151 ქართველ სამხედროს ალექსეევკას სამხედრო აეროდრომზე გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კოპალიანი და სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე დახვდნენ.

სამხედროებს საქართველოში მშვიდობით დაბრუნება და აისაფ-ის მისიის წარმატებით განხორციელება მიულოცეს ასევე, III ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა და გენერალური შტაბის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, 31-ე ბატალიონის საქართველოში ჩამოსვლა ეტაპობრივად მოხდება. ბატალიონის 300 სამხედრო რამდენიმე დღის წინ უკვე დაბრუნდა საქართველოში. ქვედანაყოფი სამშობლოში მიმდინარე თვის ბოლომდე სრულად დაბრუნდება. ისინი ავღანეთში II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის სამხედროებმა ჩაანაცვლეს.

ნიუსპრესი

შსს-ს გენინსპექციის უფროსად ირაკლი სამყურაშვილი დაინიშნა

შსს-ს გენინსპექციის უფროსად ირაკლი სამყურაშვილი დაინიშნა, ამის შესახებ ინფორმაცია „ნეტგაზეთს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიაწოდეს. ირაკლი სამყურაშვილი 35 წლისაა, ის 2000 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

მათ შორის, 2003-2004 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის შტაბის უფროსის მოადგილე, ხოლო 2004-2005 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი.

2006 წლიდან ის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა, ხოლო 2013 წლიდან კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავიდა სამუშაოდ. შსს-ს გენინსპექციის უფროსის თანამდებობის დაკავებამდე გენინსპექციის ყოფილი უფროსის, ზვიად ჯანყარაშვილის მოადგილე იყო.

ნეტგაზეთი

ეკლესიის ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის, ნუგზარ სურმანიძის ინფორმაციით, ახალსოფელში ეკლესიის გუმბათის ნგრევისას ორი ადამიანი გარდაიცვალა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში ეკლესია გუშინ, 7 მაისს ჩამოინგრა და ნანგრევებში ოთხი ადამიანი მოყვა.

ხელვაჩაურის გამგებლის მოადგილის ანზორ ფერცელაძის ინფორმაციით, ეს ადამიანები ტაძრის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები არიან.

ადგილზე იმყოფებოდნენ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც ამოიყვანეს დაშავებულები ნანგრევებიდან. როგორც ეკლესიასთან თავმოყრილი ახალსოფლელები ამბობენ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაზე არც ერთი კომპანია არ მუშაობდა. ტაძარს სოფელში მრევლთან ერთად მამა მარკოზი აშენებდა.

„ბათუმელებს“ შს სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა სალომე წერეთელმა უთხრა, რომ ეკლესიის ჩამონგრევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 240-ე მუხლით, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას ნიშნავს.

ნეტგაზეთი

ჩვენთან ერთად დაიცავით საყდრისი!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

თაობაზე მათ შეთავაზება ჯერჯერობით არ მიუღიათ. მისი თქმით, კომიტეტის წევრებისთვის გაურკვეველია, რა მოტივით მოხდა ამ ორი ექსპერტის შერჩევა.

ნინო მიქიაშვილი, საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წარმომადგენელი:

– 14 აპრილიდან საყდრისის მცველები და გულშემატკივრები ვართ საყდრისთან ახლოს, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ და ვიცავთ საყდრისს ნგრევისგან, მზად ვართ შევაკვდეთ და არ დავანგრევინოთ საყდრისი. მძიმე ტექნიკა იქ თითქმის ერთი კვირაა აღარ დგას, სამუშაოები შეაჩერეს, მაგრამ სხვა ეტაპზე გადადიან, ისეთ სამუშაოებს ახორციელებენ, რასაც გარედან ვერ ვხედავთ, ამიტომ ამაზე პასუხი არ გვაქვს. ბულდოზერი იქ აღარ დგას და მანქანებიც ჯერჯერობით აღარ დადიან. საყდრისთან ძალიან ახლოს არის ტერიტორია, სადაც არქეოლოგიური და ისტორიული უნიკალური ძეგლებია, თვითონ მაქვს გადაღებული ფოტომასალა, მათ შორის არის ტაძარი, სავარაუდოდ შუასაუკუნეების, რომელიც დაბზარულია და საშინელ მდგომარეობაშია. დაახლოებით ერთი თვის წინ იქ იყო ისეთი აფეთქება, რომ ჩვენ შეგვაზანზარა და ტაძარს და ისტორიულ ძეგლს რას დაიმართებდა, ხომ წარმოგიდგენიათ?

რამდენიმე დღის წინ დაახლოებით 17 ადამიანი დავითვალეთ კოშკურიდან დურბინდით ყურებისას, თავზე ეხურათ კასკები, ფოტოაპარატები ხელში, დარწმუნებული ვართ, ისინი იყვნენ ის უცხოელი ექსპერტები, რომლებიც ჩამოიყვანა ბატონმა ნიკოლოზ ანთიძემ. ექსპერტი საქართველოში სულ ორია ჩამოსული, დანარჩენები იყვნენ არემჯი გოლდის წარმომადგენლები, ისინი ჩვენც დაგვყვებიან ხოლმე, ფეხოსანი და მანქანებით დაცვაა. ისინი ათვალიერებდნენ, სააგენტოს თანამშრომლები, მძღოლები, ფოტოგრაფები, ჯამში 17 ადამიანი იყო. დილით იქ იყვნენ ტელევიზიები, მათ თბილისიდან სააგენტომ უთხრა, რომ ექსპერტები არ აპირებდნენ საყდრისში ჩასვლას და ტელევიზიებიც წავიდნენ. ისინი წავიდნენ თუ არა, დაბურული მინებიანი ექვსი ჯიპით ავარდნენ ბორცვზე და იქ ალბათ მონიტორინგს ახორციელებდნენ თავისებურად. რომ დავურეკე ანთიძეს და ტელეფონზე არ პასუხობდა, ამასაც ვხედავდი და უტიფრად ამბობენ, რომ არ ვყოფილვართო. ჩვენ გვინდა გავარკვიოთ, რა პოზიცია უკავია ბატონ გურამ ოდიშარიას, აყენებენ თუ არა მას საქმის კურსში, იმიტომ, რომ იმის საპირისპირო ქმედებები ხდება, რაც მან საჯაროდ განაცხადა და უთხრა ჩვენი კომიტეტის წევრებს. ჩვენ მისულები ვიყავით, პრესმდივნის საშუალებით შემოგვითვალა, რომ დრო არ აქვს შესახვედრად, ამიტომ ახლა საჯაროდ მივმართავ კულტურის მინისტრს: ბატონო მინისტრო, თუ თქვენ გინდათ, შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, დაიცვათ ნგრევისგან საყდრისი და ამას თქვენი სავარძლიდან ვერ აკეთებთ, ჩვენ მზად ვართ ყველაზე კომფორტული კარავი დაგითმოთ, ჩამობრძანდით და ჩვენთან ერთად დაიცავით საყდრისი! ახლა დაველოდებით, რა შედეგი მოყვება ჩვენს განცხადებას. ჩვენი აქცია საყდრისში გრძელდება და ისევ გაგრძელდება.

– რას ითხოვთ?

– პროცესი მიდის გაუმჭვირვალედ. ტელევიზიებს ეუბნებიან არ ჩამოვდივართო და ჩამოდიან. მინისტრს უბრალოდ შევახვედრებთ, 11-მდე აქ იქნებიანო, ამბობენ, ესეც ტელევიზიით გავიგეთ. ნორმალურად ჩვენ არც ვიცით ვინ არიან და როცა პროცესი არის გაუმჭვირვალე და არსებობს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, საზოგადოება საქმის კურსში უნდა იყოს რა ხდება რეალურად. ჩვენ ნდობას ვუცხადებთ იმ ადამიანებს, რომელთა გვარებიც გერმანიის ხელისუფლებამ ოფიციალურად წარუდგინა საქართველოს ხელისუფლებას. სულ 5 სპეციალისტია და არც ერთი არ არის არც გერმანელი, არც ქართველი, ისინი 5 სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. ჩვენი ხელისუფლება რას როგორ აპირებს, ამაზეც არ აკეთებენ საჯარო განცხადებას. ბატონი მინისტრი არც ინტერვიუს აკეთებს, არც არაფერს ამბობს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იქცევა ძალიან საეჭვოდ და ძალიან ცუდად. იმიტომ გვინდოდა ჩვენ შეხვედრა კულტურის მინისტრთან, თუ გურამ ოდიშარიას უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და დაიცვას ნგრევისგან საყდრისი, სანამ დასკვნას არ დადებს საერთაშორისო კომისია, ჩამოვიდეს საყდრისში და დადგეს ჩვენ გვერდით.

– არემჯი გოლდმა მარინე მიზანდარი მიზანმიმართულ კამპანიაში დაადანაშაულა.

– ჩვენ იქ რომ ვართ, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ, ტელეფონით თუ ვიგებთ რა ხდება. ხან ბრიფინგებს მართავს არემჯი გოლდი, ხან განცხადებებს ავრცელებს, თუ რამე კითხვა გაქვთ, ჩვენ ყველაფერზე გიპასუხებთ. საყდრისში აქცია გრძელდება, აქცენტი გადატანილია კოშკურაზე, ყველა კარავი ავიტანეთ ზევით. საყდრისის გვერდით რომ ბორცვია, იქ გვეძინა სამ ადამიანს. დღე და ღამე განათებულები ვართ, დღე რათ გვინდა, მაგრამ ღამე მონათებულია მანქანის ფარები, რომ გათენდება, მერე ჩააქრობენ. ალბათ რომ დაღამდება, ეშინიათ, სადმე არ გავიპაროთ და სადღაც არ ავძვრეთ.

ირაკლი მამალაძე, საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრი:

– პროცესები შესულია ჩიხში. ბატონმა მინისტრმა დადო საჯარო პირობა საზოგადოების წინაშე, რომ ის ჩამოიყვანდა უცხოელ სპეციალისტს ბატონ შტოლნერს გერმანიიდან და ასევე 5 სპეციალისტს, რომლებიც იმუშავებდნენ საყდრისზე და დადებდნენ პირუთვნელ დასკვნას. არც ერთი ეს პირობა არ არის შესრულებული, მეტიც, ჩამოიყვანეს ძალიან საეჭვო რეპუტაციის ადამიანები და სწორედ ისინი აპირებენ დააკვირდნენ პროცესებს. ჩვენ საჯარო ბიბლიოთეკაში შევიკრიბეთ და მოვიწვიეთ ყველა ის ადამიანი, ვისაც უნდა საყდრისის გადარჩენა. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ პარტიას, სქესს, ფერს, კანს, მთავარია საყდრისის გულშემატკივრები გავერთიანდეთ. ჩვენ მივმართავთ ხელისუფლებას, რომ პროცესები არის შესული ჩიხში და მათ თავად შექმნეს ეს ჩიხი. კერძოდ, კულტურის სამინისტრომ, რომელმაც მთლიანად ძალაუფლება გადასცა არემჯი გოლდს და ძეგლთა დაცვის სამსახურს, რომელიც მოქმედებს არემჯი გოლდთან ერთად ძალიან საეჭვოდ. უკან დახევას არ ვაპირებთ, აქცია გაგრძელდება და თავს შევაკლავთ, საყდრისი არ დაინგრევა.

– თუ მაინც დაინგრა?

– თუ მაინც დაინგრა, ძალიან მაღალი პოლიტიკური და მორალური ფასის გადახდა მოუწევს ხელისუფლებას. მივმართავთ ხელისუფლებას, კულტურის მინისტრს, საქართველოს პარლამენტს, ძალიან მაღალი ზნეობრივი სტანდარტიდან შეხედონ ამ პრობლემას. საყდრისი ეს არის მეოთხე ათასწლეულის ძეგლი, ყველა ელჩმა შეხვედრაზე, რომელიც იყო დახურული და შეხვდნენ კომიტეტის წევრებს, ცალსახად აღნიშნა, რომ ეს არის მონუმენტი, ანუ ისტორიული ძეგლი. არავის არ უთქვამს, რომ ეს არის არქეოლოგიური ადგილი ან უძველესი ტერიტორია. ყველა ამბობდა, რომ ეს ისტორიული ძეგლია და ბატონი ანთიძე აპრიორი აცხადებს, რომ ის აღარ არის ისტორიული ძეგლი და იქ ყველანაირი კულტურული კვალი წაშლილია. ასე რომ, პროცესები არის მართლაც ჩიხში შესული, ხელისუფლება ვალდებულია, იმოქმედოს, ჩამოიყვანოს ის ექსპერტები, რომელიც შესთავაზა გერმანულმა მხარემ, ასევე ამერიკულმა მხარემ 15 ექსპერტი შესთავაზა ხელისუფლებას. არც ერთი მათგანი არ არის ჩამოსული საქართველოში, არც ერთი მათგანი არ აკვირდება პროცესებს. ამ პროცესებში ჩართულია დიპლომატიური კორპუსი, მასალები მიეწოდება აუცილებლად იუნესკოსაც და ვიმედოვნებთ, რომ ისინიც ჩაერთვებიან ამ პროცესებში. საყდრისის პრობლემა გადაწყვეტილი არ არის და ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ ღიად, გამჭვირვალედ წარიმართოს პროცესები. თან საზოგადოებას აუხსნან, რატომ დაჰპირდა კულტურის მინისტრი საზოგადოებას 5 პირუთვნელი ექსპერტის ჩამოყვანას და არც ერთი მათგანი ძეგლთა დაცვის სააგენტომ არ ჩამოიყვანა საქართველოში. ეს არის ცალ კარში თამაში, რომელსაც თამაშობს ჩვენი ხელისუფლება და არემჯი გოლდი. აქეთ მხარეს დგას საზოგადოება, მეცნიერთა დიდი არმია, რომელთა აზრსაც არ ითვალისწინებენ. ვიცით, რომ ორი ექსპერტია ჩამოყვანილი, მაგრამ არ ვიცით ვინ არიან. ერთი ექსპერტი არის ბულგარელი, რომელიც პირდაპირ კავშირშია არემჯი გოლდთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საყდრისი ძეგლი არ არის. უკვე გაშიფრულია ეს ადამიანი, როდის იყო საქართველოში, ვინ ჩამოიყვანა, რას აკეთებდა, რას საქმიანობდა, ვისი მოწვევით იყო, ყველაფერი ცნობილია. რაც შეეხება მეორე ექსპერტს, გუგლის საძიებო სისტემითაც ვერ მოვძებნეთ, ვინ არის ეს ადამიანი. გვიპასუხონ, რატომ ჩამოიყვანეს ორი ექსპერტი, როცა ამერიკის მთავრობამ შესთავაზა 15 და გერმანიის მთავრობამ 5? თან ჩამოიყვანეს ის ექსპერტები, რომლებიც არც ერთი სახელმწიფოს მიერ საქართველოსთვის შეთავაზებული არ ყოფილა.

hჰxცpxჰpბ ,

შვეულად: 1. ავადმყოფობის დროებით შესუსტება; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კინორეჟისორი; 3. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა; 4. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. ფულის ერთეული უკრაინაში; 9. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. შუამავალი ბირჟაზე; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ელექტრონული მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

თარაზულად: 6. ნავსადგური ყირიმში; 7. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 8. ზღვისპირა კურორტი გაგრის მახლობლად; 11. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის მახლობლად; 12. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 13. ჰოლანდიაში ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს ამოშრობილი და დამუშავებული მიწის ნაკვეთი; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. სადაო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ბრიტანელი ბილიარდისტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმpტ.ყტ,ეჯბ hჰxცpxჰცტ,ბც გფცე[ტ,ბ5

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ცანგალა; 2. ბექთარი; 3. ინვარი; 4. წნორი; 5. ესტანსია; 7. სნო; 11. ნასერი; 15. ჰანტელი; 16. „ელგუჯა“; 17. ხომლი; 18. იბიცა; 20. სუფსა. 22. „ლეგო“.

თარაზულად: 6. ასნისი; 8. ჰეტმანი; 9. პროექტი; 10. გუდრონი; 12. ბორტი; 13. იუანი; 14. კვესტურა; 19. მანტისა; 21. სომალი; 23. „ბრაგა“; 24. ელინგი; 25. ალიასკა; 26. ჰარვარდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დესანტი; 2. პროტონი; 3. ამირეჯიბი; 4. „ხორუმი“; 5. მიკოზი; 9. წაბლი; 10. გრანიტი; 14. ბერსალიერი; 15. სამშვილდე; 16. ბოტეგა; 19. ბორხესი; 20. გუთანი; 21. „ანზორი“.

თარაზულად: 6. დენდრარიუმი; 7. კომოციო; 8. ბატუტი; 11. საკმაზი; 12. ენდრო; 13. წირქოლო; 17. ბარომეტრი; 18. დრომადერი; 22. შუშპარი; 23. გონდოლა; 24. მსტოვარი; 25. დედვეიტი.

ნატო აღმოსავლეთ ევროპაში მუდმივი სამხედრო კონტინგენტის განთავსებას არ გამორიცხავს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ გამორიცხავს აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მუდმივი სამხედრო კონტინგენტის განთავსებას, რუსეთ-უკრაინას შორის გაზრდილი დაძაბულობის შემთხვევაში. ამის შესახებ ევროპაში ნატო-ს ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა.

ამასთან, მისივე თქმით, ნატო-ს მოახლოებულ სამიტამდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეთაურები, ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ, იყო თუ არა აღმოსავლეთ ევროპაში მათი სამხედრო სტრატეგია მართებული.

„უნდა შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობები რეაგირებაზე, ჩვენი მზადყოფნა და შემდეგ ჩვენი ჯარების პოზიციონირება, რათა რეაგირება მოვახდინოთ იმ ახალ პარადიგმაზე, რომელიც ყირიმში ვნახეთ, ახლა კი უკრაინის აღმოსავლეთ საზღვარზე ვხედავთ“, – აღნიშნა ნატო-ს ჯარების მთავარსარდალმა.

ამასთან, ნატო-ს ქვეითი, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთსა და რუმინეთში არიან განთავსებული მოკლევადიანი როტაციის საფუძველზე.

– უკრაინაში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებიდან დაღუპულია 14 სამხედრო და დაჭრილია 66. ინფორმაციას ამის შესახებ უკრანის უშიშროების საბჭო ავრცელებს.

შეგახსნებთ, რომ 12-13 მაისს რუსმა შეიარაღებულმა ბოევიკებმა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში შეტაკებები დაიწყეს, უკრაინის უშიშროების საბჭომ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ანტიტერორისტულ ოპერაციაში ასევე ჩართული არის უკრაინის შეიარღებული ძალები. 2 მაისს ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური ფაზა დაიწყო.

უკრაინის უმაღლესმა რადამ ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ კანონი მიიღო. ინფორმაცია ამის შესახებ უკრაინის პარლამენტის ინტერნეტგვერდზეა გამოქვეყნებული.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, კანონის მიხედვით, ნაწილობრივი მობილიზაცია უკრაინის 24 ოლქსა და ქალაქ კიევში ხორციელდება.

მობილიზაცია 45 დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდება. კანონი რადაში მისი მიღებისთანავე შედის ძალაში.

ამ ფონზე, ოფიციალური მოსკოვი კიევს „საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შეწყვეტისკენ“ მოუწოდებს.

„კიევის არალეგიტიმური ხელისუფლება მათი დასავლელი პატრონების ხელშეწყობით, ფართოდ აღიარებულ უფლებებს ფეხქვეშ თელავს“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინის ანექსიას გეგმავს“

რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინის იმავე მეთოდებით ანექსიას გეგმავს, რა მეთოდებიც ყირიმში გამოიყენა. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდმა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გამოსვლისას განაცხადა.

„სლავიანსკიდან ოდესამდე მოვლენები ყირიმის სცენარით ვითარდება: თავდაპირველად ხდება საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება, რომელიც ჯერ კიდევ ორი თვის წინ მშვიდობიანი იყო, შემდეგ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის დაშინება და ყალბი რეფერენდუმის ჩატარება, რომლის გამართვასაც ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკებში გეგმავენ 11 მაისს“, – აღნიშნა ვიქტორია ნულანდმა.

მისივე თქმით, ყველას ახსოვს რუსეთის შემდეგი ნაბიჯი ყირიმში, როდესაც რუსეთმა თავისი „მშვიდობისმყოფელები“ გააგზავნა ყირიმში ამომრჩეველთა ნების დასაცავად.

„რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საერთაშორისო კანონმდებლობის აშკარა დარღვევაა და რუსეთი ვერავის მოატყუებს თავისი ჯარებისთვის მშვიდობისმყოფელების დარქმევით“, – განაცხადა ვიქტორია ნულანდმა.

– აშშ არ აპირებს დონბასის თვითგამორკვევისადმი მიძღვნილი ე.წ. რეფერენდუმის შედეგების აღიარებას, რომლის გამართვასაც სეპარატისტები 11 მაისს აპირებენ. განცხადება ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ გააკეთა.

„კატეგორიულად ვგმობთ ძალისხმევებს, რომელთა მიზანი უკრაინის გახლეჩვაა. ეს უკრაინულ კანონმდებლობას არ შეესაბამება“, – განაცხადა ფსაკიმ.

აღსანიშნავია, რომ კიევი რეფერენდუმს არ აღიარებს და ასევე უარი თქვა 25 მაისს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე საერთო-უკრაინული გამოკითხვა ჩაატაროს ქვეყნის ფედერალიზაციის თაობაზე.

დონეცკელი სეპარატისტები კი აცხადებენ, რომ მათი მიზანი 11 მაისს უკრაინისგან გამოყოფის შესახებ „რეფერენდუმის“ ჩატარებაა.

– დონეცკის ოლქში ე.წ. რეფერენდუმისათვის, რომელიც 11 მაისს უნდა გაიმართოს 3,2 მილიონი ბიულეტენი უკვე დაბეჭდილია. ინფორმაციას ამის შესახებ „გაზეტა. რუ“ აფრცელებს.

აქტივისტების ინფორმაციით, ბიულეტენები პრინტერზეა დაბეჭდილი და დონეცკის საქალაქო ადმინისტრაციის შენობაში არის დაცული. ამას გარდა, სეპარატისტებს ასევე დაბეჭდილი აქვთ მოსაწვევები ე.წ. რეფერენდუმზე, რომელსაც მოსახლეობაში არიგებენ, სახლში მიაქვთ და სადარბაზოებში აწებებენ.

სეპარატისტები ასევე აცხადებენ, რომ ამჟამად გრძელდება საარჩევნო კომისიების ფორმირება და ე.წ. რეფერენდუმი დონეცკის ოლქის ყველა დასახლებულ პუნქტში გაიმართება.

ევროკავშირი და ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციებით იმუქრებიან

ევროკავშირმა და ამერიკამ კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ თუ რუსეთი 25 მაისის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლას შეეცდება, ამ ქვეყნის მისამართით დამატებით სანქციებს დააწესებენ.

„ობსერვერის“ ცნობით, საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა კეტრინ ეშტონმა ვაშინგტონში ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროკავშირი ეკონომიკური სანქციების დაწესებაზეც დაიწყებს ფიქრს.

„თუ ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთი უხეშად ერევა და პატივს არ სცემს არჩევნებსა და საარჩევნო პროცესს, ისინი დამატებით სანქციებს მიიღებენ და ჩვენ რუსეთის ეკონომიკის სექტორზე ვეცდებით დარტყმას“, – განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ.

შეგახსენებთ, წინა კვირაში ვაშინგტონში ჩასულმა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან ერთად განაცხადა, რომ თუ რუსეთი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლას შეეცდება, ამ ქვეყნის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს აუცილებლად დააწესებენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა „მონდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინა ომის ზღვარზეა.

„ოდესას სისხლიანი სურათები მოწმობს, რომ სამხედრო კონფრონტაციამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებს“, -აღნიშნა მინისტრმა.

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ 17 აპრილის ჟენევის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რუსეთის მხრიდან დადებით ძვრებს ვერ ხედავს.

„რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა რუსეთს რომ ეჩვენებინა, რომ ის მართლაც აპირებს იმ შეთანხმების პირობების შესრულებას, რომელზეც 17 აპრილს, ჟენევაში შევთანხმდით. ჩვენ ამის გაკეთებისკენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს. თუმცა, სამწუხაროდ ამ დროისათვის დადებითი ნაბიჯები არ ჩანს“, – აღნიშნა მინისტრმა.

ჰეიგის განცხადებით, ამერიკას, რუსეთს, ევროკავშირსა და უკრაინას შორის შემდეგი შეხვედრა მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ყველა მხარე შეთანხმების შესრულებას დაიწყებს.

ცფ3უკჯდბფ3ჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და სამინისტროს აპარატი, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, ჟურნალ ,,ჩვენი მწერლობის“ რედაქცია და მისი მკითხველები, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2014 წლის 2 მაისს ქალაქ სტრასბურგში ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეგობარი, საფრანგეთში ქართული ემიგრაციის გულშემატკივარი და მხურვალე ქომაგი, ქალბატონი

მარი-მადლენ ბარტი

თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს და მრავალრიცხოვან მეგობრებს როგორც საფრანგეთში, ასევე საქართველოში.

თურმანაულების, ჯერვალიძეების, ზურაბაშვილების, მაღრაძეების, პეტრიაშვილების, გორხელაშვილების, აბაშიძეების ოჯახები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ საფრანგეთში უახლოესი და უერთგულესი მეგობრის

მარი-მადლენ ბარტის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დაძმებსა და მეგობრებს.

ცფ3უკჯდბფ3ჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ 3ბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპბს უფ3ლფ7!@-ლფყ!& ცფფსფ3ლტ8

აზერბაიჯანში მოძრაობა ნიდას“ აქტივისტებს 6-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

ბაქოს სასამართლომ მოძრაობა „ნიდას“ რვა აქტივისტს 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ახალგაზრდები, რომელთა ასაკი 18-დან 28 წლამდეა, ხულიგნობაში, ნარკოტიკებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების შენახვაში და მასობრივი არეულობის მოწყობაში ცნეს დამნაშავედ.

აქტივისტები ყველა ბრალდებას უარყოფენ და განაჩენს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. „ნიდას“ აქტივისტები 2013 წლის მაისში გამართული საპროტესტო გამოსვლის დროს დააკავეს, სადაც ისინი ეროვნულ არმიაში ჯარისკაცების საეჭვო გარდაცვალების ფაქტებს აპროტესტებდნენ.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალმა“ დაჭერილ აქტივისტებს „სინდისის პატიმრები“ უკვე უწოდა.

ამ ფონზე, ბაქოს ცენტრში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა სასამართლოს წინ, სამართალდამცველებსა და ახალგაზდულ ოპოზიციურ მოძრაობა „ნიდას“ აქვივისტებს შორის შეტაკება მოხდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, შეტაკების დროს არიან დაშავებულები. შეტაკების დროს სამართალდამდამცველებმა აქციის ოცამდე მონაწილე დააკავეს, მათ შორის არიან ჟურნალისტებიც.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 8 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **15.25** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.00** დ/ფ "იაოს თავისუფლება" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** **19.15** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** "არენა" **22.30** "ევროვიზია **2014**" დღიური **23.00** "ევროვიზია **2014**" მე-**2** ნახევარფინალი (პ/რ) **01.00** მხ/ფ **"დათქმული დრო"** (რ.დაუნი უმცროსი) **02.40** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **04.40** "შემოძახილი" (გ/ჩვ) **05.10** "არენა" (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

07.00 მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **6** სერ. **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **8** სერ. **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"** (ე.ჯადი) **01.55** მხ/ფ **"მანოლეტე"** (პ.კრუსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **""ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პროფილი **00.00** თბილისი ლაივ **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 ქრისტიანული სწავლება **06.25** დ/ფ " მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი" **07.00** ეთნოგრაფია **07.15** დ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "ჩვენი ფონდი" **11.00** ქართული ალბომი **11.25** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ამაღლება"** **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" **16.00** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.35** კონცერტი - ნანა კალანდაძის სალამო **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.05** მოკ./ფ. **"მიხა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.35** დ/ფ "კაპელანი" **22.25** საქართველოს ისტორია **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები"** **12.30, 13.02, 1.20, 4.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00, 4.20** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50, 6.55** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, 5.15** ბრძოლა წესების გარეშე **0.00, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8
maisi

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7711

ევრო — 2.4505

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9781

100 რუსული რუბლი — 4.9579

ამინდის პროგნოზი 8 მაისისთვის

პოლანდიელი ქალბატონი საქართველოს სახელით იჭიდავებს

გუშინ ესთერ სტამმა საქართველოს მოქალაქის პასპორტი აიღო. 27 წლის ჰოლანდიელი ძიუდოისტი ამიერიდან საერთაშორისო ტურნირებში საქართველოს სახელით იასპარეზებს.

სტამი 2011 წლის მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის, კადეტებში ევროპის ორგზის ჩემპიონი. პირველად 17-წლამდე ძიუდოისტთა შორის 15 წლის ასაკში იჩემპიონა. მსოფლიოს თასებზე მოპოვებული აქვს 3 ოქროს (2009, 2010, 2011) და 7 ბრინჯაოს მედალი. 2011 წლის ბაქოს გრან პრის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

დამთავრებული აქვს კვლევა კომუნიკაციის მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

საქართველოს ნაკრებში ესთერ სტამი – 70კგ წონით კატეგორიაში იჭიდავებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„შინდისის გმირები“ რუსთაველის კინოთეატრშია

8 მაისიდან კინოთეატრ „რუსთაველში“ ახალი ქართული ფილმი გავა. „შინდისის გმირები – რუსული დერეფანი“ ასეთია მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის სახელწოდება, რომელიც კინოთეატრში მისულ მაყურებელს 2008 წლის ცივ აგვისტოს კიდევ ერთხელ გაახსენებს.

ფილმის წარმდგენია „თავისუფალი სტუდია“, ავტორი და პროდიუსერი ედმონდ მინაშვილი, სცენარის ავტორი ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი ზურა პოპიაშვილი, ოპერატორები გიორგი ხელაშვილი, გოგა სარალიძე, დავით ბრეგვაძე, მონტაჟი ნიკოლოზ ზერეკიძე, მუსიკა გია ყანჩელის, მთხრობელი ზურა ყიფშიძე, პროექტის კონსულტანტი კი რეზო ჩხეიძეა.

– შინდისის ბრძოლა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეპიზოდია. 11 აგვისტოს სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან, რომელიც სადგურის ახლოს იყო ჩასაფრებული. ბრძოლამ დაახლოებით ერთ საათამდე გასტანა. ქართველი ჯარისკაცები სადგურში მდებარე შენობებს აფარებდნენ თავს, რისი მიმართულებითაც რუსები თითქმის ყველა სახის იარაღიდან ისროდნენ, მათ შორის ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნებიდანაც. ქართველმა ჯარისკაცებმა წინააღმდეგობა ბოლომდე გაწიეს და გმირულად დაიღუპნენ, – აცხადებს იდეის ავტორი ედმონდ მინაშვილი.

ალექსანდრე ონიანი, რომან ზოიძე, ირაკლი ჯანელიძე, ზვიად კაცაძე, ნიკოლოზ ფორჩხიძე, მიხეილ დვალიშვილი, ილია შეყილაშვილი, რუსლან წულაძე, ილია გაბუნია, შმაგი კუპატაძე, ფელიქს კაკაურიძე, ემზარ წილოსანი, თეიმურაზ ბერიძე, ლევან მიქელაძე, ვეფხია ჯიშკარიანი, კახა კობაძე, მარლინ ბარამია – ეს ის გმირები არიან, ვინც შინდისში მტერს წინააღმდეგობა გაუწია და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია.

ფილმი „შინდისის გმირები“ თავდაცვის სამინისტროსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მომზადდა.

– ამ ფილმით მინდა, რომ სამუდამოდ დარჩეს საქართველოს ისტორიაში ჩვიდმეტი ქართველი ჯარისკაცის გმირობა, რომლებმაც სამშობლოსათვის სიკვდილი ანაცვალეს სიცოცხლეს, – აცხადებს ფილმის იდეის ავტორი.

შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული 17 ახალგაზრდა ქართველი მეომრის ხსოვნისათვის არასამთავრობო ორგანიზაცია „შინდისის გმირების ფონდი“ ბრძოლის ადგილას აღმართავს 12 მეტრიან 17 ფიგურიან პორტრეტულ ძეგლს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაცემული 17 ტონა ფერადი ლითონით მზადდება.

ეკა ირემაშვილი

.დასვე უფბსლფჯაბცობყცს=

fcnhjkjuyjpb 8 მაისისთვის

ეს დღე სიმშვიდეს მოგიტანთ

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **კურო** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ლომი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **თხის რქა** – სახლში დიდი სიხარული გელით. **მერწყული** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

უბცე3ლტ,ს ,ტცუბტ3 ცქტს=

ჩ3ჯცეჯ3ებ ფ

1	■	■	■	■	■	■	■	2	■	■	■	3	■	■	■	4	■	■	5	■
6				7		■	8							■	■		■	■		■
	■	■	■		■	■	■		■	■	■		■	9						
10					11		■		■	■	■		■	■	■		■	■		■
	■	■	■	■		■	■		■	12					■	13				
	■	14								■	■		■	■	15	■	■	■		■
	■	■	■	■		■	■		■	16	■	■	■	■		■	■	■		■
■	17	■	■	■		■	18	■	■		■	■	19					20		■
21				22		■	23					■	■	■		■	■		■	■
■		■	■		■	■		■	■		■	■	■	■		■	■		■	■
24						■		■	■		■	■	■	25						
■		■	■		■	26								■		■	■		■	■

შვეულად: 1. ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელი ქოხი; 2. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კონცერნი; 4. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 5. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“-ს ავტორი; 7. სამხრეთ კორეული ავტომობილი; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 16. კამათლის თამაში ფულზე; 17. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 18. აკვიატებული შიში; 20. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 8. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 9. მსხვილი სოსისი; 10. საღამოს სადილი; 12. საბრძოლო მანქანა; 13. ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 19. მდინარე გალი-ოჩამჩირეს რაიონების საზღვარზე; 21. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 23. პირველი იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 24. თამბაქოს მოსაწევი საშუალება; 25. გაცვეთილი ჭეშმარიტება; 26. ირანის საინფორმაციო სააგენტო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

„ოქროს ფრთა“ ვახტანგ კახიძეს

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთის“ რიგით მე-12 დაჯილდოების ცერემონიალი მოაწყო. ღონისძიება ექსპო ჯორჯიაში გაიმართა და მას საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

ტრადიცია არც წელს დარღვეულა და ეს ჯილდო მიიღეს მედიის სხვადასხვა წარმომადგენლებმა. წარდგენილ ნომინანტებს შორის, „ოქროს ფრთის“ ჟიურიმ 13 ლაურეატი გამოავლინა. მათ შორის ერთი „ოქროს ფრთის“ საპატიო ჯილდოს მფლობელი აღმოჩნდა. წელს საპატიო პრიზი დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ მიიღო. შარშან საპატიო „ოქროს ფრთა“ ორგანიზატორებმა რუსთაველის თეატრის მსახიობს კახი კავსაძეს მიაკუთვნეს.

„ოქროს ფრთის“ ჟიურის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ზაზა შენგელია (ჟიურის თავმჯდომარე) და მისი წევრები ნუგზარ რუხაძე, ნეკა სებისკვერაძე, ქეთი მატაბელი, ნიკუშა შენგელაია, თამარ ცაგარეიშვილი, ეთერ ჯიშკარიანი, ეთერ თათარაიძე, გიორგი კალანდია, თამარ ფხაკაძე. ეს უკანასკნელი ამავე დროს „ოქროს ფრთის“ ფონდის პრეზიდენტიცაა. სწორედ მან გადასცა საპატიო ჯილდო ვახტანგ კახიძეს.

წელს ვახტანგ კახიძესთან ერთად „ოქროს ფრთა“ მიიღეს მარიკა დარჩიამ, ბაია გადაბაძემ, ნინო შუბლაძემ, ქეთი ქარდავამ, დათო კოვზირიძემ, ვასიკო ოდიშვილმა, ნიკოლოზ რაჭველმა, დავით გოგიჩაიშვილმა, კახა თოლორდავამ, გოგა ჩანადირმა, გვანცა კილასონიამ და ლევან ჯავახიშვილმა. ყველა ნომინანტი ჟიურის წევრებმა პერსონალურად წარადგინეს და კუთვნილი პრიზებიც გადასცეს.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როცა ვაწყობთ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ირმა შარიქაძის წერილები გამოფენილია

8 მაისს ფოტოხელოვანი ირმა შარიქაძე თავისი ნამუშევრების გამოფენას გახსნის. „წერილები“ – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელსაც ბი ენდ დაბლიუ გალერეა უმასპინძლებს.

„წერილები“ ფრიდა კალოსადმი მიძღვნილი პროექტია, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გამართულ გამოფენებზე. ეს არის ირმა შარიქაძის საავტორო პროექტი, რომელშიც შედის სხვადასხვა ზომის 18 ფოტო, ვიდეო არტი „ფრიდას სიზმარი“ და მწერალ მაკა გოგუაძის მიერ შექმნილი მისტიფიცირებული მიმოწერა ფრიდასა და მის წარმოსახვით დას მარიცას შორის. პროექტში გამოყენებულია აგრეთვე სოფო გონგლიაშვილის ემალის უნიკალური სამკაულები. ამ გამოფენის ექსპონანტების უმრავლესობა მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა და კერძო კოლექციონერებმა შეიძინეს.

– ქართველი ხელოვანის პროექტი „წერილები“ ჩვენს საერთო კულტურულ სისხლის მიმოქცევას გვახსენებს – ხელოვნების შესაძლებლობას, გადაკვეთოს საზღვრები და მოიცვას არა მხოლოდ ადამიანები, არამედ საკუთარი თავიც. ფრიდამ საკუთარი ტყუპი და გამოიგონა, რომელიც ახლა ფრიდას იგონებს და რომელიც ირმა შარიქაძის პერსონაჟია. პროექტში „წერილები“ ორივე მათგანს ვხედავთ – ფრიდას და მარიცას – ქართველი ხელოვანის ალტერ ეგოს, მის თამაშს საკუთარ პერსონაჟთან, ხასიათის სტრატეგიებთან, ისტორიისა და ხელოვნების ენებთან. ფრიდამ დაბადა მარიცა, ფრიდა ჩნდება მარიცასადმი წერილებში – დები ერთმანეთის სიმბოლური დედები ხდებიან, „სჯობს ასე გავაკეთოთ: იყავი ჩემი დედა და მე ვიქნები შენი, თუ წინააღმდეგი არ ხარ, რა თქმა უნდა“. ეს ნაზი მეტაფორა გამოსახულებისა და რეფერენტის, ხელოვანისა და პერსონაჟის რთული დიალექტიკითაა განმსჭვალული. ეს დაღვინების დიალექტიკაა, რომელიც ფრიდა კალოსკენ იყო მიმართული და, სავარაუდოდ, მისი შემოქმედების არსი განსაზღვრა. ირმა შარიქაძე საკუთარ შემოქმედებით სიმწიფეს დების ამ გამოგონილ ბიოგრაფიას უკავშირებს. გარდა ამისა, ტყუპი დები სილამაზეს აორმაგებენ. მაყურებლის ყურადღება უმწიკვლო გამოსახულებისკენაა მიმართული და სურათის ქვეშ, ხელნაწერ ტექსტს აწყდება. შესაბამისად, მაყურებლის მიერ პროექტის აღქმა ეფუძნება არა პრიალა ჟურნალების კლიშეებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ეფექტურ ფოტოგრაფიას, არამედ კონცეპტუალურ კოდებს. თუკი ერთსა და იმავე დროს დაც ხარ და დედაც, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მამა არსებობს, რომელიც ქმარი ხდება. სიზმარში ფრიდა ბატისტის კაბაში გამოწყობილ დედას ხედავს, თუმცა მოულოდნელად, შუქმგრძნობიარე ქსოვილის ქვეშ, მამაკაცის ბანჯგვლიან მკერდს აღმოაჩენს. ეს საზარელი სიზმარი შემოქმედებით ძალისხმევაზე მეტყველებს. ამ დროს, ინდივიდუალურობა შთამომავლობით მიღებული ტაბუსგან თავისუფლდება. ირმა შარიქაძის შეზღუდვებისგან გათავისუფლებული ძალისხმევა ცხოვრებისეული გარემოებების წინააღმდეგ ამბოხში, მამაკაცურობისკენ მისწრაფებაში ვლინდება. პროექტი ანარეკლებითაა დამუხტული, – აცხადებენ გამოფენის ორგანიზატორები.

ირმა შარიქაძის „წერილები“ საერთაშორისო კონკურსის „ქოლგა თბილისი ფოტო 2014“-ის ფარგლებში მოეწყობა.

ეკა ირემაშვილი